საქართველო

№ 35 (62) ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი 29 აგვისტო, 1943 წ.

დიდება მამულის მსხვერპლთ!



ნახატი ლეგიონერი მხატვრის ი. ევგენიძისა.

აგვისტოს აჯანყება

სამი წელი იარსება დამოუკიდებელმა საქართველომ. მისი კანონიერი მთავრობა შესცვალა ფ. მახარაძის ეგრეთწოდებულმა „შულავრის მთავრობამ“. რუსეთის კომუნისტური პარტიის აგენტს ჩვენს ქვეყანაში, მახარაძეს, გვერდი დაუმშვენეს სომხურ-თურქული მოსახლეობის წარმომადგენლებმა: ზორი ზორიანცმა, დაშნაკელების ლიდერმა ჩვენს სახალხო წარმომადგენლობაში და ახალციხის ქალაქის თავმა; აგრეთვე ომარფაიკმა — ახალგაზრდა თურქთა მოღვაწემ, ერთ დროს აწყურელმა მასწავლებელმა, შემდეგ კი აზერბაიჯანის პოლიციის დირექტორმა. ლენინისა და ქემალ ფაშის შეთანხმებით ჩვენი სამშობლოს მიწაწყალიც განაწილდა: არტაან-ფოცხოვ-ართვინის მხარეები თურქეთმა დაიკავა, საქართველოს დანარჩენი დიდი ნაწილი კი რუსთა სათარეშო ასპარეზად გადაიქცა. დაბრმავებული ქართველი კომუნისტები, რუსეთს ჩვენს ქვეყანაში რომ შემოუძღვნენ, სულ მალე მოსკოვის პატარა მოხელეებად იქცნენ.

შურითა და ჟინით შეპყრობილი ქართველი კომუნისტები — ორახელაშვილის, ქავთარაძის, მდივნის, მახარაძის, ცხაკაიას და სხვათა სახით, მალე დარწმუნდნენ, რომ რუსეთი ამ „ქართველთა“ ბატონობას საქართველოში არ იგუებდა. მაგრამ რა გამოსავალი ჰქონდათ, ერთხელ სამშობლოს ღალატის გზაზე დამდგარნი, ამავე გზით უნდა წასულიყვნენ. ბოლო ამ „უმსგავსო საქმე ყოვლისა“ ცნობილია. უდიდესი მარცხი მათიც უკვე დადასტურებულია.

წითელი ბარბაროსების შემოჭრამ ჩვენს ქვეყანაში საშინელი უკმაყოფილება გამოიწვია. თვითეული ქართველი მამულიშვილის გული სევდამ და ეჭვებმა შეიპყრო. საჭირო იყო გამოსავლის მოძებნა. რუსული ჯარი, ჩვენში დაბანაკებული, აბა როგორ დაანებებდა ქართველ ხალხს კვლავ ეგემა თავისუფლება!

1921 წლის თებერვალ-მარტის თვეებმა ჩვენი სამშობლო შავ სუდარაში გახვია და ნამდვილი ქართველნი ძაძით შემოსა. ამ დროიდან ჩვენს ქვეყანას მოაწყდა ურიცხვი უცხოელი და ეს ვითარება დღესაც გრძელდება.

თვით ქართველმა ერმა რით უპასუხა დამპყრობელთ? სასტიკი მტრობით, ძლიერი სურვილით — ვერაგი რუსეთი ჩვენი მიწაწყლიდან განედევნა და საკუთარი თავისთვის თვით ეპატრონა. პირველნი ამ საქმეში სვანები აღმოჩნდნენ, შემდეგ ხევსურები და ბოლოს მთელი ერი, აგვისტოს აჯანყებისთვის რომ აღსდგა.

საქართველოში დარჩენილი საუკეთესო პოლიტიკური მოღვაწენი თავიდანვე ჩაებნენ მტრის საწინააღმდეგო მუშაობაში. ამოქმედდა დამოუკიდებლობის კომიტეტი. მასში შევიდნენ შეუდრეკელი მამულიშვილები, მათი მუშაობა დამთავრდა დიდი აჯანყების მოწყობით.

1924 წ. აჯანყება შეიძლება ნაადრევი იყო, თუ გავითვალისწინებთ რუსის ჯარის სიმრავლეს, მათს წინასწარ მომზადებას და ქართველ კომუნისტთა თადარიგს. არის მასალები, რომელთა მიხედვით აჯანყება წინასწარ განწირული იყო; მიუხედავად ამისა თვით აჯანყების ფაქტი აშკარად მოწმობს, თუ რაოდენ ძლიერია ქართველი ერის სული — ყველა პირობებში ებრძოლოს საკუთარი ქვეყნის დამპყრობელთ.

ამიტომ დღეს, 19 წლისთავზე აგვისტოს აჯანყებისა, ჩვენ გვმართებს დიდი მოწიწებით, მუხლმოდრეკით მოგონება და პატივი იმ ქართველ მებრძოლთა მიმართ, რომლებიც მსხვერპლად შეეწირნენ სამშობლოს აღდგენის საქმეს.

განვლილი დრო მოწამეა დაღუპულთა კეთილშობილური მოქმედებისა; საქართველოში მძვინვარებს უდიდესი პოლიტიკური და სადისტური ტერორი. ქართველობა ქალების სახითაც კი ბრძოლის ველზეა იძულებით გაყვანილი. ბარბაროს რუს ბოლშევიკთა ინტერესს ეწირება ჩვენი ერის ურიცხვი შვილი.

თუ უცხოეთში გადახვეწილ ქართველობას ომის დაწყებამდე არ მიეცა საშუალება თავისი ძალა მტრისთვის ეჩვენებინა, რუსეთ-გერმანიის შეტაკების დროიდან საუკეთესონი ამ რიგებიდან ბრძოლის ველზე მოქმედებენ.

მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი — ეს არის ქართული ლეგიონური მოძრაობა და მისი განსაკუთრებული დანიშნულება. ქართველი ახალგაზრდობა, რუსულ ჯარში გაწვეული, ბრძოლის პროცესში ამ მეორე მხარეზე მოექცა.

თუ რამდენად ძლიერია ქართველთა ბრძოლა ყოველგვარი რუსეთის წინააღმდეგ, გასულმა დრომ და ლეგიონერთა თავდადებამ გვიჩვენა. აბა ვის შეუძლია დაეჭვდეს საქართველოს აღდგენის საქმეში, თუ თვით ყოფილი წითელარმიელი ქართველი იმავე წითელი ლაშქრის წინააღმდეგ იბრძვის, ამ ბრძოლებში კვდება. მას წინ მიუძღვის სამფეროვანი დროშა, რუსული სისხლიანი დროშის განსადევნად. და განა მხოლოდ ამ ომის დროის ამბავია ლეგიონერთა ბრძოლა საქართველოსათვის? პირველი მსოფლიო ომშიც ხომ ქართველი ლეგიონერები იბრძოდნენ გერმანელთა გვერდით იმავე რუსეთის, მაშინ საიმპერატორო რუსეთის, წინააღმდეგ.

ჩვენ, ქართველი ლეგიონერები, ვიბრძვით და ვიბრძოლებთ ჩვენი ერის მიწაწყლის გამოსახსნელად და იქ ქართველთა დასამკვიდრებლად. ამით ღირსეულ პატივს დავდებთ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების, საქართველოს აღდგენის საქმეს, დაღუპულ — აგვისტოს აჯანყების მონაწილეთ.

საქართველოს სასახლიდან რუსთა მიერ ჩამოხსნილი ქართული სამფეროვანი დროშა ჩვენ, ლეგიონერებს გვევალება თავის ადგილას კვლავ აღვმართოთ.

აგვისტოს აჯანყების ცხრამეტი წლისთავზე, ფიცი დავდოთ აჯანყების მომწყობ გმირთა საფლავებზე, რომ არცერთი ჩვენთაგანი არ გააგდებს ხელიდან თოფს, სანამ საყვარელ შვინდისფერ დროშას არ მიიტანს თავისუფალ საქართველოში.

ასმეთ. ბაი მაღლაკელიძე

„ლენინი მოკვდა, გაუმარჯოს საქართველოს"

ნაწყვეტი მოგონებიდან

1924 წლის სასტიკი ზამთარი. თბილისი თეთრ საბანშია გახვეული. ყინვის ძალა ძვალ-რბილის დაუფლებას ლამობს, ქარი ცრემლებს გვადენს... რუსთაველის პროსპექტზე სამგლოვიარო დროშები ფრიალებენ... ყინვის მიუხედავად პროსპექტი მცხოვრებთა ათასებით არის დაკავებული, ზოგიერთებს წინა რიგებში წითელი დროშები ულაზათოდ უჭირავთ,არცერთი მოღიმარი სახე არ სჩანს.

აქაიქ ახალგაზრდები ძალიან ფრთხილად პროკლამაციებს არიგებენ. სათაური უცნაურია: „ლენინი მოკვდა, გაუმარჯოს საქართველოს!"

მართლაც, დღეს ასაფლავებენ შორეულ ყინულეთში ჩვენი თავისუფლების ფეხქვეშ გამთელელს, ბოლშევიკურ ულმერთო ტერორის შემქმნელს, წითელი იმპერიალიზმის მამას ვლ. ლენინს.

აქ, თბილისში კი დამონებული ქართველი ხალხი, საშინელი მუქარის ქვეშ, ათი ათასობით ქუჩაში გამოსული, თითქოს დამმონებლის გაქრობას გლოვობს. რუსული ცინიზმის უხეში განსახიერება ამაზე შორს ვერ წავიდოდა!

პროკლამაცია ამ ცინიზმს ჰგმობდა და იმედს გამოსთქვამდა, რომ ლენინის სიკვდილს მოჰყვება ახალი რუსეთის ბატონ-პატრონი კომპარტიის დაშლა და თვით საბჭოთა ძალაუფლების დანგრევა. მაშინ გახდება შესაძლებელი საქართველოს აღდგომა.

კერპის „შეურაცხყოფამ" ჩეკის აღშფოთება გამოიწვია, ჯოჯოხეთური აპარატი ამოქმედდა, კიდევ ერთხელ ქართული უნივერსიტეტი იქნა მიზანში ამოღებული. პროკლამაციის ავტორნი, ამწყობნი, გამვრცელებელნი იქ უნდა ეძიათ. ჩეკამ იცოდა, რომ უკანასკნელ თავისუფალ სტუდენტთა კავშირის არჩევნებმა საბჭოს თავმჯდომარეობა ისმ. ხევცურიანს და მდივნობა ფ. შ-ძეს ჩააბარა; და ორივენი ხომ „კერპის შეურაცხმყოფელთ" ეკუთვნოდნენ (მოვიგონოთ, რომ ამ პირთა ხელმოწერით, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახელით, 1922 წ. გენუის მსოფლიო კონფერენციას რუსულ დამპყრობელთა წინააღმდეგ, უკვდავ კათალიკოს ამბროსისთან ერთად, დეკლარაცია გაეგზავნა, მთელ მსოფლიოს წინაშე ქართული საკითხი დაისვა. სტ. კავშირის პრეზიდიუმმა თავისი მოვალეობა ერის წინაშე ღირსეულად მოიხადა, ჩეკისტურ ტანჯიასაც შესაფერად შეხვდა).

ჩეკა არ სცდებოდა: 1924 წელს ახალგაზრდათა მოძრაობის ძარღვი სტუდენტობა იყო; მთავარ კომიტეტს თავმჯდომარეობდა ახოვანი, დინჯი, ინიციატივით სავსე სტუდ. გედეონ სვანიძე; მდივნად იყო ნიჭიერი თეორეტიკოსი, ჩვენი არალეგალური ჟურნალი „მებრძოლთა ხმის" ხელმძღვანელი ვ. ვ-ძე; მოლარეობა, საინფორმაციო განყოფილება და არალეგალურ პროფესიულ კავშირთა კომიტეტში წარმომადგენლობა დაკისრებული ჰქონდა ამ წერილის ავტორს; გრძნობიერი, გულადი, თვალსაჩინო სტუდენტი გია (კიტა აბაშიძის შვილი) და საყვარელი, ყოველთვის შეუდრეკელი, სტუდენტთა კოოპერატივის გამგე გრ. ჭელიძე იყვნენ მთავარი კომიტეტის წევრები.



აჯანყებისათვის დახვრეტილნი: ჯულელი და ბ. ჩხიკვიშვილი.

ჩვენი სტამბა შეჰქმნა ენერგიულმა და მოხერხებულმა სტუდენტმა გიორგი მაღრაძემ, მას მუდმივად ეხმარებოდნენ სტუდენტები კეკელიძე, ჯ. იაშვილი, ბ-ძე და სხვ...

ჩვენ მუდმივი კავშირი გვქონდა ჩვენს საყვარელ ბელად, ნახევრად დაბრმავებულ გიორგი ლასხიშვილთან, რომელიც ყოველთვის გვამხნევებდა, ბრძოლის სურვილს კიდევ უფრო გვიღვივებდა, რჩევას გვაძლევდა და მზად იყო ჩვენი საქმიანობის მთელი პასუხისმგებლობას პირადად ეკისრა.

პროვინციაში, ადგილობრივ ორგანიზაციებში, ყველგან მზად იყვნენ ემოქმედათ, თავი სამშობლოს სამსხვერპლოზე მიეტანათ; ყოველთვის ერთიდაიგივე საყვედური გვესმოდა: არ გვამუშავებთ, ქაქუცასთან არ გვაგზავნითო და სხვ...

ჭეშმარიტად დაუშრეტელი ყოფილა მშობლიური ქვეყნის სიყვარულზე აღმოცენებული ბრძოლის სურვილი და თავგანწირვა. სხვა პარტიების ძალებშიც ასეთივე სიმტკიცე იყო, მათთან ურთიერთობის დროს ასეთი აზრის დამადასტურებელი ნაბიჯები ყოველდღიურ მოვლენას წარმოადგენდა.

...ჩეკამ მიზანს მიაღწია; სამშობლოსათვის თავგანწირულნი აგვისტოს აჯანყებამდე ყოვლად საზიზღარი საშუალებებით ხელში ჩაიგდო. ძმები სიკვდილშიც შეაერთა; ჩვენი ეროვნული ბედის და უბედობის მოწამე მეტეხის ჯურღმულებში მოაქცია სხვა, ათას გმირებთან ერთად.

აგვისტოს აჯანყება, თავისუფლების მაძიებელი ერის გმირული შეიარაღებული ბრძოლა, გამხეცებულმა მტერმა საბუთად გამოიყენა: აჯანყების წინ დატუსაღებული მამულიშვილნი ჯალათებს შულმანს, ოგანეზოვს, ანციშკინს ჩააბარა. ავტომობილები აგუგუნდნენ, თითო დიდბუნებოვან ქართველს ერთი ტყვია არგუნეს, ძმები გაგვიჟლიტეს ათასობით, საქართველოს სისხლის მორევი დაუყენეს, საფლავებისათვის მიწის მიყრის საშუალებაც არ მოგვცეს. მეტეხიდან, უკანასკნელი ბარათი, გედეონ სვანიძის მიერ განახლებულ კომიტეტისადმი მიწერილი ამბობდა: „ჩვენს ბედზე ნუ დარდობთ; სამშობლოსათვის და თავისუფლებისათვის ტანჯვა ტკბილია... იმოქმედეთ, ბრძოლა არ შეანელოთ, არასოდეს, არასოდეს!.."

და ბრძოლა არ შენელებულა, იგი ისევ გრძელდება. დღეს შეიარაღებული ქართველი ლეგიონერები დიდ გერმანელ ხალხთან ერთად, საბოლოოდ მოუღებენ ბოლოს კაციჭამია ბოლშევიკების საქართველოში ბატონობას.

მ. ტულუში.




აჯანყებისათვის დახვრეტილნი: ვარდენ **წულუკიძე** და კოტე **აფხაზი**

ჩვენი ბრძოლები

ცხრამეტი წლის წინათ საქართველომ ერთხელ კიდევ ამცნო მთელს მსოფლიოს თავისი ურყევი ნებასურვილი, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო" და აჯანყდა.

1924 წლის აგვისტო-სექტემბერს წინ უსწრებდა გამანთავისუფლებელი ბრძოლის სამი წელიწადი.

პირველი შეურიგებლობის დემონსტრაცია დაპყრობის მესამე თვეს მოხდა.საქართველოს დედაქალაქში და პერიფერიებში დიდი ზეიმით იდღესასწაულეს დამოუკიდებლობის დღე — 26 მაისი, რასაც მასობრივი დაპატიმრებანი მოჰყვა. ქართული საზოგადოებრივი აზრის მეთაურებით გაივსო ციხეები. ბოლშევიკები ყოველდღიურად სპობდნენ და ანადგურებდნენ წარსული დიდების ნაშთებს, რაზედაც უნდა აღზრდილიყვნენ საქართველოს მომავალი თაობები, რასაც უნდა აღეგზნო სამშობლოსადმი სიყვარული და მისთვის თავგანწირვის გრძნობა აღეზარდა ჩვენში.

აჯანყების დროშა პირველად ზვიადი სვანეთის მთებში აფრიალდა. დიდხანს გრძელდებოდა საქართველოს ამაყ შვილთა შეურიგებლობა. ბოლშევიკებს მეტად ძვირად დაუჯდათ სვანეთის მთებზე სისხლიანი დროშის ატანა.

ამის შემდეგ ტერორი უფრო გაძლიერდა. ერთის მოსმით სურდათ წაეშალათ და აღმოეფხვრათ ის, რაც ქართველ ერს ამაროვნებდა, რაც საქართველოს ეროვნულ შეგნებას ამტკიცებდა, ასალკლდევებდა. სასწავლებლები, უნივერსიტეტი, სპორტული, სამოქალაქო და ადმინისტრაციული დაწესებულებები გაივსო მოსკოვის აგენტებით. შერყვნეს და წაბილწეს ჩვენი ეროვნული კულტურის უძველესი აკვანი, ქართული ეკლესია და მისი მხცოვანი მეთაური ციხეში ჩააგდეს. აღარ დარჩა შეუბღალავი არცერთი ქართული სალოცავი და როგორც ერთი სახელოვანი მოღვაწე მოგვითხრობს: ჩვენი წმინდა საფლავებიც კი არ დასტოვეს ხელუხლებელი: „მამა-პაპათა ძვლები მოთხარეს, ქუჩაში ჩხრიალით ჩამოატარეს, შემდეგ დაფქვეს, დანაყეს და შიგ თვალებში შემოგვაყარეს". საჭირო იყო მედგარი წინააღმდეგობა, რომ საქართველო არ აღგვილიყო პირისაგან მიწისა. და აქ ასპარეზზე გამოდიან სახელოვანი მამულიშვილები: კოტე აფხაზი, გენერალი ვ. წულუკიძე, ალ. ანდრონიკაშვილი, რ. მუსხელიშვილი, გ. ხიმშიაშვილი და მთელი პლეადა ქართველი მხედრებისა, რომლებიც გახდნენ ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის დასაყრდენად: მათ საქართველოს ეროვნულ უფლებათა დაცვისა და ხსნის გეგმა ზედმიწევნითი სიფრთხილით დაამუშავეს და ალსასრულებლად ქაქუცას გადასცეს, რომლის ძარღვებშიც საქართველოსათვის მარად მებრძოლი ჩოლოყაშვილის სისხლი სჩქეფდა. ქაქუცა სცდილობს გეგმა რაინდ ხევსურთა დახმარებით განახორციელოს და 1922 წელს მან ხევსურეთშიააფრიალა ბრძოლის დროშა. დიდი იყო თანაგრძნობა მთელს საქართველოში ხევსურთადმი, უფრო დიდი იყო თავგანწირვა და გამარჯვების სურვილი თვით ხევსურეთში.

ქაქუცა დახმარებას ვერ ღებულობს. ხევსურეთი სისხლისაგან დაიცალა და მისი ბელადი კვლავ მთებსა და ტყეს აძლევს თავს. მტერი კი საქართველოს სამხედრო შტაბს ატუსაღებს და დედაქალაქში 1923 წელს, 19 მაისს ჩვენს სახელოვან მხედრებს სიკვდილით სჯის.

გახელებული ერი შურისძიების წყურვილმა აანთო. ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში და ყოველ წრეში იარაღი ილესებოდა. დამოუკიდებლობის კომიტეტის წინაშე საყოველთაო აჯანყების საკითხი დაისვა. ამ დღიდან საქართველოს ნამდვილი მფლობელი, მისი პატრონი მხოლოდ დამოუკიდებლობის კომიტეტი შეიქნა. მთელ საქართველოში ნახევრად სამხედრო ხასიათის ორგანიზაციები მოეწყო. გოგიტა ფაღავას და გიორგი წინამძღვრიშვილის ენერგიამ ჩრდილოეთი კავკასიაც შემოუერთა ჩვენს მოძრაობას. თითქოს ყველაფერი მზად იყო, რომ მტრის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა გაგვეჩაღებინა. აჯანყების დროდ 1924 წლის თებერვალი დაინიშნა, მაგრამ სწორეთ ამ პერიოდში ფარულმა ორგანიზაციებმა ორი მარცხი ზედიზედ განიცადეს. მტერმა ჯერ გოგიტა ფაღავა და შემდეგ წინამძღვრიშვილი დაატუსაღა — ეს ორი ბერკეტი და ხერხემალი მებრძოლი ორგანიზაციებისა.

მაგონდება ეს დრო თბილისში. ისე ვერავის შეხვდებოდით, რომ საუბარი ასე არ დაწყებულიყო: „დავილუპეთ, აღარც გიორგი გვყავს, არც გოგიტა, მათ ვერავინ შესცვლის".

აჯანყება უფრო შესაფერი დროისათვის გადაიდო.

მტერი უფრო გამძვინვარდა. ყოველ ქართველში თავის მოღალატეს, აჯანყებულსა ხედავდა, ჰაერი თოფისწამლის სუნით გაიჟღინთა. საკმარისი იყო მცირედი შერხევა, რომ ყველაფერი ერთად აფეთქებულიყო. ზაფხულის განმავლობაში უცხოეთიდან ჩამოსული ყველა მოღვაწე დაატუსაღეს. მტერმა იცის, რომ აჯანყება სადაც არის იფეთქებს. საჭირო იყო დაჩქარება, რომ მას მნიშვნელოვანი ცენტრების გამაგრება ვერ მოესწრო. „დამკომი" ნიშნავს საყოველთაო შეიარაღებული გამოსვლის თარიღად 28-29 აგვისტოს ღამეს, რაც შესრულებულ იქნა.

აჯანყებამ დასავლეთ საქართველოში სასურველი ხასიათი მიიღო. მრავალი ქალაქი აჯანყებულთა ხელში იყო და ხანგრძლივად ებრძოდნენ მტერს. თბილისის გამაგრება მტერმა მოასწრო და იქ გამოსვლა უბრალო ჟლეტა იქნებოდა; ხოლო კახეთში მკრთალი ელფერი სდევდა აჯანყებას სამი მიზეზის გამო: 1. ჭიათურა 24 საათით ადრე გამოდის, რამაც მტერს მისცა შესაძლებლობა სასწრაფო ზომები მიეღო; 2. ქაქუცა კახეთს მოაშორეს და სხვა რაიონებში ამოქმედეს, 3. ვაზიანის დუმილი, რომელზე დაცემაც უნდა ყოფილიყო კახეთში საყოველთაო გამოსვლის ნიშანი.

ამას მაინც არ შეუშლია ხელი, რომ მტერს იქაც სისხლის ზღვა დაეყენებინა.

ქართველი ერის გმირული ცდა — თავი დაეღწია მონობისაგან, კვლავ დამარცხდა. მრავალი ათასი ქართველი მამულიშვილის საგმირო საქმე მოთმინებით ელის თავის აღმწერელს. ყოველმა ქართულმა ოჯახმა თავისი წვლილი შეიტანა გამანთავისუფლებელ ბრძოლაში. გაავთრებული მტერი უწყალოდ ჟლეტდა იარაღაყრილ ქართველობას. ბრძოლაში დავმარცხდით, მაგრამ სულიერი სიმტკიცე და იმედი არასოდეს დაუკარგავს ქართველ ერს.

დღევანდელი ჩვენი ბრძოლა აგვისტოს აჯანყების დაღუპულ გმირთა ანდერძის შესრულებაა. დღეს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის დროშა აერთიანებს ძველსა და ახალ საქართველოს. ამ დროშას მფარველობს მრავალი ათასი ქართველი ლეგიონერი, რომელთაც მოკაშკაშე ვარსკვლავებიდან ლაჟვარდიდან თავს განვლილ ბრძოლებში დაღუპულთა სახეები.

დ. სინჯიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყებისათვის დახვრეტილნი: მიტო ვოგნიაშვილი, მიშა ხოფერია და ვანო სინჯიკაშვილი.

აჯანყების დღეები

29 აგვისტო...

ქართველი ხალხი იარაღით ხელში გამოდის პირსისხლიანი რუსული აღვირახსნილობის წინააღმდეგ. სამშობლო განსაცდელშია, თვითეული ქართველი მამულიშვილის ვალია იხსნას მშობელი ქვეყანა ბოლშევიკთა კლანჭებისაგან...

30 აგვისტო — ბრძოლის სასწორი დამპყრობის სასარგებლოდ იხრება...

31 აგვისტო, 1, 2, 3, 4 სექტემბერი — საშინელი სისხლიანი დღეები... დახვრეტილთა რამდენიმე ათასეული. დღისით ჩეკის სარდაფებს ავსებენ ციხეებიდან გადაყვანილი პატიმრებით, ქუჩებსა და ბინებში ახლადდატყვევებული მოქალაქეებით, ღამღამობით კი მაჩაბლისა და პეტრე დიდის ქუჩებიდან სამი მიმართულებით ეზიდებიან საბარგო ავტომობილები ხელფეხგაკრულ მამულიშვილთა ჯგუფებს. საბურთალოს, ორთაჭალისა და კოჯრის მხარეზე მათ მოელით უწმინდური ხელით გათხრილი საფლავები... შეუსვენებლად მოქმედებენ ყოველგვარი ჯურის ჯალათები. რკინისგზის საგანგებო კომისია დამოუკიდებლად მოქმედებს და მასობრივად ხვრეტს როგორც თბილისში, ისე ხაზზე დაპატიმრებულთა ჯგუფებს...

უარესი ამბები ხდება პროვინციაში. მეამბოხეთა სახლკარის გადაწვა-გადაბუგვასთან ერთად უპატრონოდ მიტოვებულ ცოლ-შვილთა მიმართ წარმოუდგენელ ძალმომრეობას იჩენენ, ხალხს დაუნდობლად და განუკითხავად ხვრეტენ. ჭიათურისა და საჩხერის მიდამოებში დაპატიმრებულ მოქალაქეებით სავსე სამ ვაგონს ზესტაფონსვირშუა ტყვიამფრქვევებს უშენენ და ყველას ერთიანად ჟლეტენ... რესპუბლიკის ყველა ციხიდან გაჰყავთ ადრევე პატიმრობაში მყოფთა თუ ახლადდატუსაღებულთა ათეულები... ბათომისა და ფოთის, სიღნაღისა და ზუგდიდის, ოზურგეთისა და ქუთაისის, შორაპნისა და გორის, სიღნაღისა და თელავის, დუშეთისა და ბორჩალოს ციხეებიდან მამულიშვილთა ჯგუფები მოემართებიან დამოუკიდებლობის სამსხვერპლოსაკენ...

გამარჯვებული და სისხლით დამთვრალი ხელისუფლება მუსრს ავლებს ქართველ მოსახლეობას. ძუძუმწოვარა ბავშვებიანურთ ამოწყვიტეს რამდენიმე გვარეულობა—ფანიაშვილები, კლიმიაშვილები, მამაცაშვილები სოფელ რუისში (გორის მაზრა). ბავშვები ზოგი აკვანში გასრისეს, ზოგი სარებზე ჩამოაცვეს, ზოგსაც აივნიდან ძირს ისროდნენ. ქალები ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი ხანჯლებით დაჰკლის...

ასე გაუსწორდნენ რუსი ბოლშევიკები თავისუფლებისმოყვარე ქართველ ხალხს...

აჯანყების ბედი ტრაგიკული აღმოჩნდა, მისი პათოსი იყო დამარცხება, მაგრამ იგი გამარჯვებას უდრის. სამშობლოს განთავისუფლებისათვის გმირულად დაღუპულთა სისხლი ზეცას შეჰღაღადებს! ეს სისხლი გვიხმობს დღეს გადამწყვეტი ბრძოლისათვის. აგვისტოს აჯანყების დროშა კვლავ გაიელვებს საქართველოს ცაზე, დაემხობა ბოლშევიკური კართაგენი, აღსდგება ქართული მიწა...

წერილი სამშობლოდან

ეს ლექსი ერთს ჩვენს თანამედროვე ცნობილ მგოსანს ეკუთვნის. იგი დაწერილია 1924 წლის აჯანყების შემდეგ. ხელნაწერად მან შემოიარა მთელი საქართველო და უცხოეთშიც კი მოაღწია.

საშინელია ეს დროთა სიგრძე,
ლამის ლოდინი მოკვდეს უშვილოდ.
სადა ხარ? ჩვენი ტანჯვა თუ იგრძნე
უნდა სამშობლოს ჩქარა ვუშველოთ!

ახალი ყლორტი ჰკერავს საკაბეს,
ძველი სიზმარი თბილისზე ახდა,
ბევრი ხნიერი მუხა აკაფეს,
მაგრამ ადგილი ვერ გაპარტახდა!

ძმათა საფლავზე ვიყავ პარასკევს,
სადაც ისვენებს მოღლილი ჯარი,
აი, გწერ იმათ ნალაპარაკევს:
„დავკეცეთ დროშა, გავტეხეთ ჯვარი“!

ბაგრატიონი და ფეიქრები,
არ მინდა ერი სხვა ერს მოებას,
დახეულ ქულად მოდის ფიქრები,
ოცნება საზღვრავს უსაზღვროებას,

ძმაო, არ მინდა შენც დამაობლო,
ჩემი ლექსები სხვის კარზე ჰქროდეს,
თუ პოეზიას არ აქვს სამშობლო,
პოეტს სამშობლო ხომ უნდა ჰქონდეს?!

და დღეს, არ ვიცი, თუ რომელ ალაგს
ამოვა ახლა დილის აისი;
დღეს გორგასლანის სატახტო ქალაქს
მხოლოდ სახელი შერჩა თავისი!

ყველა მივილეთ ძმებად და დებად,
ვინც გვასახელა საზიზღარ ქცევით;
ხელზე კორძები დაგვაქვს ბეჭდებად
ამდენ კუბოთა მაღლა აწევით!

მშვიდობით და გთხოვ: რომ ჩემი გვამიც
თუ დაიცხრილა ქალაქის გარეთ,
დამწვით და ფერფლი ჰაერნასვამი,
პოეტებს თავზე გადააყარეთ!

სიმღერა ჩოლოყაშვილზე

ამბობენ: როცა ქაქუცა
სხვა მიწაწყალზე კვდებოდა,
საკუთარ შვილის სიკვდილი
სამშობლოს ეყურებოდი.
ია და ვარდი ლამაზი
იმისი ცოდვით სჭკნებოდა,
შემოჰხვეოდა მზეს ნისლი,
ცაზე ვარსკვლავი ჰქრებოდა!
კიდევ ამბობენ: მხედარი
უცხოეთს დაიმარხაო,
ბევრი დარდები წაიღო,
მამული ველარ ნახაო.
გულს მიეყარა სხვა მიწა,
სხვა ცრემლი დაილვარაო,
მოყვარეს თვალი დაევსო
და მტერმა გაიხარაო.
—ვახ, სადა ვკვდები? რა დროსა?
სად დამეხუჭა თვალია?..
ვაი დედასა! რა მომდის!..
ველარ გამიჭრის ხმალია!..
ნუ გეშინია, სამშობლოვ,
მე მოვკვდი, სხვები მოდიან,
მათი თვალების ანთება
ჩემზე ნაკლები როდია!..

ა. დარეჯანიძე



აჯანყების მონაწილენი, რომლებიც დახვრიტეს რუსებმა სოფ. რუისში.

განვლილი გზა

საქართველო აჯანყებათა კლასიკური ქვეყანაა. არაერთხელ აფრიალებულა დროშა აჯანყებისა ქართულ მიწაზე უცხოეთის ბატონობის წინააღმდეგ. რადგან აჯანყება საქართველოში ყოველთვის დამპყრობელთა წინააღმდეგ იყო მიმართული, ამიტომაც იგი ყოველთვის ეროვნული და ხალხური იყო. პირობების მიხედვით იგი ხან კუთხური იყო, ხან მთლიანი და ერთიანი.

ძველმა საქართველომ არ იცის სოციალური ხასიათის აჯანყებანი, ანუ აჯანყებანი საკუთარი, ქართული წესწყობილების წინააღმდეგ, და როდესაც ამ ნიადაგზე, სოციალ-ეკონომიურ საფუძველზე ხდებოდა აჯანყება, იგი იყო მიმართული მხოლოდ იმ წესწყობილების წინააღმდეგ, რომელიც უცხო ძალამ, უცხო ბატონობამ თან მოიტანა და დაამყარა. ამგვარად, ეს აჯანყებაც ამ შემთხვევაში მუდამ იყო ეროვნული, ვინაიდან იგი მიმართული იყო უცხო ბატონობის მიერ შექმნილი წესრიგისა და მაშასადამე თავისთავად დამპყრობელის ბატონობის წინააღმდეგ.

ვინ ჩამოსთვლის რამდენი აჯანყება გადაიხადა ქართველმა ერმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის გზაზე!

ჩვენ გვსურს მხოლოდ ორიოდე თარიღის აღნიშვნით გავახსენოთ მკითხველს ის აჯანყებანი, რომლებმაც უკანასკნელი საუკუნის მანძილზე საქართველოში იფეთქეს. რა იყო მიზეზი ამ აჯანყებათა? მარად და მუდამ — უცხო ბატონობისაგან განთავისუფლება და საკუთარი დამოუკიდებლობის აღდგენა.

1783 წელს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორემ რუსეთის მეფე ეკატერინე მეორესთან დასდო ხელშეკრულება, რომლის ძალით რუსეთს მფარველობა უნდა გაეწია ქართული სამეფოსათვის, დაეცვა იგი გარეშე მტრებისაგან და თვით სამეფო ტახტი კი ხელუხლებელი უნდა დარჩენილიყო, ოღონდ საქართველო უარს იტყოდა თავის საკუთარ საგარეო პოლიტიკაზე და იგი შეთანხმებული იქნებოდა რუსეთის საგარეო მიზნებთან.

რუსეთმა ეს პირობა დაარღვია, მოსპო ბაგრატიონთა ტახტი და ქართული სამეფონი რუსულ გუბერნიებად გამოაცხადა. ეს მოხდა 1801 წელს. ასეთი ძალადობის წინააღმდეგ ამოვარდა საქართველოში აჯანყების ალი. ქართველი ხალხი ამ აჯანყებებით ებრძოდა რუსეთის ბატონობას და სცდილობდა თავის განთავისუფლებას ამ ახალი დამპყრობელისაგან. და თუ ზოგ აჯანყებას მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ჰქონდა სოციალური ხასიათი, როგორც ვთქვით, იგი ამასთანავე იყო ეროვნულიც, ვინაიდან სოციალური და ეროვნული არსებითად ერთი და იგივე იყო, ორივე წინააღმდეგი რუსული წესწყობილებისა და ბატონობისა.

1801 წელს მოისპო საქართველოს თავისუფლება და მას შემდეგ ბრძოლა არ შეწყვეტილა; აი აჯანყებათა წლები:

1802 წელს აჯანყდა კახეთი და მთიულეთი; 1804 წ. —მთიულეთი, ქართლი;1810 წ. —მთიულეთი; 1812 წ. —კახეთი და ქართლი; 1819-20 წ. —იმერითი და გურია; 1832 წ. —შეთქმულება თბილისში; 1829 წ. —აჯანყება თბილისში; 1840-41 წ. —გურია და იმერეთი; 1849 წ. —თბილისი; 1857 - 1862 წ. — აჯანყება სამეგრელოში; გურიაში, იმერეთში, ქართლში; 1863 წ. — საინგილოში; 1865 წ. — თბილისში; 1866 წ. — აფხაზეთში; 1875 წ. — სვანეთში; 1876 წ. სამეგრელოში; 1877 წ. —აფხაზეთში; 1878 წ. —კახეთში; 1882 წ. — გურია-აჭარაში. ამ ხნიდან უკვე იწყება ფართო სოციალური მოძრაობა, რომელსაც პოლიტიკურ-ეროვნული სახეობა აკლდა, მაგრამ რომელიც არსებითად რუსეთის წესწყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული, და ამგვარად თავისი შინაგანი ბუნებით ეროვნულიც. ამ მოძრაობის დაგვირგვინება იყო დიდი აჯანყება 1905 და 1917 წლებში. ამ მოვლენათა შედეგად, რომელნიც თვითონ იყვნენ დიდი ომის ნაყოფი, საქართველომ აღიდგინა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ბოლშევიკურმა რუსეთმა ხელშეკრულების ძალით იცნო და აღიარა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და აიღო ვალდებულებად არ ჩარეულიყო იგი ქვეყნის შინაურ საქმეებში. ეს მოხდა 1920 წლის 7 მაისს.

ამ ხელშეკრულების პირველი მუხლი ამბობს შემდეგს:

„ეყრდნობა რა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ხალხთათვის აღიარებულ თავისუფალ თვითგამორკვევის უფლებას იმ სახელმწიფოსაგან სრულ ჩამოშორებამდე, რომლის ნაწილსაც ისინი შეადგენენ, **რუსეთი სცნობს სავსებით საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას,** და ნებაყოფლობით ხელს იღებს ყველა იმ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს ქართველი ხალხის და საქართველოს ტერიტორიის მიმართ“.

მუხლი მეორე: „ეყრდნობა რა ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში განცხადებულ პრინციპებს, **რუსეთი ვალდებულებას იღებს თავი დაიჭიროს საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარი ჩარევისაგან**“.

ასეთი სრულიად გარკვეული დაპირების მიუხედავად, როგორც მეფის რუსეთმა 1801 წელს, ისე წითელმა რუსეთმა 1921 წელს, არ შეასრულა თავისი პირობა, გასტეხა მიცემული სიტყვა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იარაღის საშუალებით მოსპო.

როგორც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს მოძალადე და მზაკვარ რუსეთს ქართველმა ხალხმა აჯანყებებით უპასუხა, ეხლაც იარაღს მიჰმართა და ბრძოლა გამართა აჯანყებით. 1921 წ. — მოხდა აჯანყება სვანეთში, 1922 წ. — ხევსურეთში, 1924 წ. — მთელს საქართველოში. თუ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ალექსანდრე ბატონიშვილი, ძე პატარა კახისა, თავისი რაზმებით ებრძოდა რუსეთს წელთა მანძილზე, 1921 წლიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილს და მის რაზმელებს ეჭირათ ბრძოლის დროშა 1924 წლის დამლევამდე.

აჯანყება საერთოდ დიდ მსხვერპლს მოითხოვს, და თუ ხალხი ასეთ ნაბიჯს სდგამს, — აქ არის დიდი სულიერი გაქანების ბრძოლა და შეუდრეკელი წადილი თავისუფლების მოპოებისა და განმტკიცებისათვის.

ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში, დამოუკიდებლობის დაცვაში ქართველ ერს ზღვა სისხლი დაუღვრია და გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ ბრძოლამ გადაარჩინა იგი, შეუნარჩუნა საკუთარი ეროვნული სახე.

ქართველმა ერმა სისხლით აღბეჭდა თავისი ნებისყოფა ბრძოლისა საქართველოს თავისუფლებისათვის, — ეს ბრძოლა დღესაც არაა დასრულებული და დასრულდება იგი მხოლოდ მაშინ, როცა ქართველი ხალხი თავის მიზანს მიაღწევს: როდესაც საქართველო იქნება თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ვ. ნოზაძე



აჯანყებისათვის დახვრეტილნი:(პირველი რიგი ზევიდან ქვევით):
გ. ცისკარიშვილი, ხომერიკი, ვ. ცაგაძე; (მეორე რიგი ზევიდან): **გ. ფალავა, ნ. ქარცივაძე, ვასო ნოდია.**

როცა ჩადგა ქარიშხალი...

იმ დროს, როდესაც რუსეთის ჯარი ჯალათ ჩეკისტების მეთაურობით უიარაღო ხალხს ხვრეტდა, ზოგან მკვდრებიც არ იყო დამარხული და არც მებრძოლთა სისხლით გაჟღენთილი მიწა გამშრალი, გასაოცარი გაბედულებით მთელი ხალხი დაჭრილ ლომივით წამოიჭრა, ეროვნულ სასიცოცხლო ძალების გადარჩენას შეუდგა...

პირველად ხალხმა. ბრძოლის ველიდან დაჭრილები გაიტაცა, სახლებში, ბეღლებში, სასიმინდე-ნალიებში, ტყეებში საიმედო ალაგას გადამალა. კარაბადინის მცოდნე გამოცდილი დედაკაცები, მოტეხილის და ჭრილობების სოფლის მკურნალი ბაჭიაშვილის, თურმანიძე-არობელიძის მიერ დაზრდილი ვაჟკაცები საიდუმლოდ მოდიოდნენ, ჭრილობებს მაგარი არყით ჰბანდნენ, ბალახ-მცენარით შეზავებულ მალამოს ადებდნენ...

ჩვენი მადლიანი დედები, მოსიყვარულე დები დღედაღამე დაჭრილებს თავს ადგნენ, ჩუმად, სიფრთხილით უვლიდნენ, ალერსით ტანჯვას უმსუბუქებდნენ.

ცოცხლად გადარჩენილ აჯანყების მეთაურებს საიმედო სახლებში მალავდნენ, მიუვალ ტყე-კლდეებში გაჰყავდათ, საჭმელს, ფარაჯებს, ნაბდებს, წუღებს აწვდიდნენ, ორი თვის განმავლობაში წარმოუდგენელ შიშსა და ძრწოლაში დაგეშილ ძაღლებსავით მაძებარ ჩეკისტებისაგან იფარავდნენ, თვითონ კი განსაცდელში ვარდებოდნენ...

სამეგრელოდან, იმერეთიდან შემთხვევით გადარჩენილ მებრძოლებს წინ მიუძღოდნენ ღრმა მოხუცები, რომლებსაც თოვლივით თეთრი წვერი წელზე სცემდათ; ღამე საიმედო გზით გურიაში მიჰყავდათ, აქედან კი ოსმალეთში გადაჰყავდათ; „შეფიცულებს", ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით, მთებიდან მთებზე აცოცებდნენ, ახალციხე-ფოცხოვის საზღვარზე აცილებდნენ: ვაჟკაცურად, მხნედ იყავით, თქვენი თავი სამშობლოს სჭირია, — აბარებდნენ... ასე გაიყვანეს მიხეილ ლაშქარაშვილი ქართლიდან... თბილისსა და მის ახლომახლო მდებარე სოფლებში ერთი წლის განმავლობაში იმალებოდნენ მრავალი აჯანყების სულისჩამდგმელნი, რომლებიც შემდეგ მოსახლეობის დახმარებით სამშვიდობოს გამოვიდნენ.

ეს რომ გაიგო

ხალხური

ბალშენიკი შემოვიდა
გაამწარა ქვეყანა,
რუსი ვანკა ჩააყენა
ჩვენ ოჯახში ყველგანა;
საქართველო გაოხრა
მიწასთან გაასწორა,
ბევრი დახოცა ქართველი,
დახვრიტა, ჩააქოლა.
ეს რომ ქაქუცამ გაიგო,
ქართველ ლაშქარი შეჰყარა,
დაეცა ბალშენიკებსა
და იარაღი აჰყარა.
საცა დაეცა რუსებსა,
ყველგან ადინა ბოლია,
ისე აბღავლებს რუსებსა,
როგორც საქონელს ლომია.
ღალატად ჩადგა მამია,
პარტიულების თავია,
მიუდგა ბალშენიკებსა,
გაყიდა თავის გვარია.
მე არ მერქვიოს მამია,
თუ არ ვიყარო ჯავრია,
ქაქუცას თავსაც მოგიტან,
თან გამატანეთ ჯარია.
შეკრიბა პარტიულები,
თოფები მისცა ხელშია,
ქაქუცას მოკვლას აპირებს
და ჩასაფრებას ხევშია.
იყალთოს თავში შეყრილა,
ქაქუცას ცოტა ჯარია,
მამიას შემოუთვალა —
ნუ გჭირსო ჩემი ჯავრია.
ერთად შევზდილვართ ორივე,
არ მინდა შენთვის ავია.
მამიას მოსდის წერილი,
იცინის ულვაშებშია,
ქაქუცას ცოცხალს დავიჭერ,
ან ტყვიასა ვკრამ მკერდშია.
ჯარი შეყარა ხელდახელ
ორას-სამასი კაცია,
წინ მიუძღვება მამია,
როგორც თუშური ვაცია,
გვერდსა უშვენებს შალიკო,
შავსა ცხენზედაც მჯდომია,
ვერას დაგვაკლებს ქაქუცა,
კაცია, განა ლომია?!
მიუახლოვდნენ ტყიანსა,
ჯაჭვად გაშალეს ჯარია,
აქ მოვიმწყვდიოთ ყველანი,
როგორც ხაფანგში თაგვია.
ატეხეს სროლა თოფითა,
სჭექს და სჭექს მაუზერია,
სამასი კაცი ექვსს ესვრის,
როგორი სამართალია!
ქაქუცას მხრიდან გავარდა,
ბაჭყურას თოფი ტიალი
და მამიასა ცხენიდგან
მიწაზე გასძვრა გრიალი.
რაფომაც უთხრა ბაჭყურას,
მაცალე, ჩემი ჯერია,
შუაზე გავყოთ ძმურადა,
ვინც რომა ჩვენი მტერია.
იმისი თოფიც გავარდა,
მარდია, როგორც ქორია,
გაისმა შალვას ღრიალი,
როგორც დაჭრილი ღორია.
იბრუნეს პირი, გაიქცა
პარტიულების ლაშქარი,
ზოგი ყირაზე გადადის,
ზოგია ჯაგში ჩამძვრალი.
ეხლა ირბინეთ ბეჩავნო,
თელავს წაიღეთ ამბავი,
აქ დაგრჩათ თქვენი მამია,
ვაჟკაცთა ტყვიით მომკვდარი.

აგვისტოს აჯანყების ეროვნული მოტივები

1924 წლის 29 აგვისტო ერთერთი ტრაგიკული, მაგრამ ჭეშმარიტად საამაყო თარიღია ქართველი ერის ისტორიაში. ამ დღეს ქართველმა ხალხმა ერთხელ კიდევ დაანახვა მტერსა თუ მოყვარეს, რომ მას აქვს ყოლება და უნარი იყოს ბატონ-პატრონი საკუთარი თავისა.

29 აგვისტოს საქართველოს ყველა კუთხეში ერთსადაიმავე დროს დაიწყო საყოველთაო - სახალხო აჯანყება, მიმართული რუსული საოკუპაციო ხელისუფლების წინაალმდეგ. პირველად ხმალი სამეგრელომ აღმართა, ქართული ბოლშევიზმის ეს ციტადელი, რომლითაც ყოველთვის ამაყობდნენ ბოლშევიკები, ბრძოლის ალში გაეხვია. მათს მებრძოლ რაზმებს მიუძღოდა არა მარქსისა და ენგელსის დროშა, არამედ ქართული ხლამი, მამა-პაპათა სისხლში ამოვლებული, სამფეროვანი დროშა. მეგრელ მებრძოლებს აფრთოვანებდათ სახელოვანი მამულიშვილის ცოტნე დადიანის სული. არანაკლები მსხვერპლი გაიღო აჭარის, ქართველი ხალხის ამ სისხლი სისხლთაგანის და ხორცი ხორცთაგანის ახალგაზრდობამაც. ბათომელ ქართველ მამულიშვილებთან ერთად ისინი წარბშეუხრელად ადიოდნენ ეშაფოტზე. ამ საერთო ცეცხლში მოისმოდა ქართველი ერის საამაყო შვილთა— თუშ-ფშავ-ხევსურთა და გუდამაყრელ მოხევეთა ვაჟკაცური შეძახილი სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ეს ქართველი გარიბალდი, თავის დროშის ქვეშ უყრიდა თავს საქართველოს ყველა კუთხიდან მოსულ მებრძოლთ და დაუზოგავად შუსრს ავლებდა სამშობლოს მჩაგვრელებს.

უჩვეულო ამბავი მოხდა მსოფლიო ისტორიაში, პატარა, მეტად მცირერიცხოვანმა ქართველმა ერმა თავგანწირული ბრძოლა გამოუცხადა მონარქიულ რუსეთს, რომლის იმპერიალისტური სულის მატარებელია რუსული ბოლშევიზმი.

ქართული სული ძლიერი იყო ყოველთვის, ქართველი ადამიანი არ შემდრკალა არასოდეს, რა მძიმე განსაცდელშიც არ ყოფილიყო იგი. ამის მაგალითი მრავალია. როცა ქვეყნის მოღალატეებმა ჰანების მეფე ფარსმანს ღალატი დასწამეს და რომის სენატში დააბეზღეს, მან ქართველური ღირსებით დაიცვა თავი, როცა ჩვენს საამაყო გმირს, დიდ მამულიშვილს გიორგი სააკაძეს „მოართვეს" თავისი ერთადერთი საყვარელი შვილის პაატას მოკვეთილი თავი, გმირი როდი მიეცა სასოწარკვეთილებას. თავისი ხალხის მომავალი გამარჯვების მტკიცე რწმენით შეუშვირა თავი ჯალათის მიერ აღმართულ ხმალს დიმიტრი თავდადებულმა. ისტორიაში არნახული, დიადი ნებისყოფა გამოიჩინა ქეთევან დედოფალმა, რომელმაც ოლიმპიური სიმშვიდით აიტანა სპარსელთა მიერ მიყენებული წამება; მარიამ დედოფალმა ხანჯალი ჩასცა გენერალ ლაზარევს და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი გმირობა ჩაუდენიათ ქართველ მამულიშვილთ!..

აგვისტოს სახალხო, ეროვნული აჯანყება დამარცხდა. ბოლშევიკებმა წითელი არმიის ურდოებით საშინლად ჩააქრეს იგი, სისხლით მორწყეს ქართლ-კახეთისა და ეგრია-სამეგრელოს ველები, ცეცხლის ალს მისცეს სვანეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის მიუვალი ციხე-კოშკები, ეშაფოტზე ათასობით აიყვანეს ქართველი ერის საუკეთესო შვილები, მაგრამ მაინც ვერ ჩაჰკლეს ქართული სული. აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ეს დამარცხება გამარჯვებას უდრიდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ბრძოლაში სამღვდელოებაც გამოვიდა. ქართული ეკლესია და ხმალი კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს ბრძოლის ველზე ერის ცხოვრების ტრაგიკულ მომენტში.

საქართველოს მარტო ეს როდი აკმარეს. ეხლა დაიწყეს აღვირახსნილი პროპაგანდა აჯანყების შეფასების საქმეში. ბოლშევიკებმა აგვისტოს სახალხო აჯანყებას ავანტიურა უწოდეს,ამით მათ სურდათ გამოეცალათ აჯანყებისათვის ის დიადი ეროვნული სული, რომლითაც იგი ფეთქავდა.

აგვისტოს შეიარაღებული გამოსვლა ქართველი ხალხისა არ წარმოადგენს ჩვეულებრივ აჯანყებას და მით უფრო ავანტურას. აგვისტოს აჯანყება არის ქართველი ერის ნაციონალური რევოლუცია — მთლიანი ქართველი ერის შეიარაღებული გამოსვლა მოძალადე და უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოს აღდგენას.

ამ ბრძოლაში ქართველმა ერმა ერთხელ კიდევ გამოავლინა თავისი დიადი მებრძოლი სული, რომელიც საქართველოს გმირული ცხოვრების ათასწლოვანი და სახელოვანი ისტორიის გზაზე შეიქმნა, გამოიწრთო.

ჩვენ, ქართველ ლეგიონერებს, წინაპრების ეს მებრძოლი სული გვასულდგმულებს.

ლეგ ი. გუგარეთელი

ხალხი უმღერის თავის გმირს

ქართველ ხალხს თავისი წიაღიდან არაერთი და ორი შესანიშნავი გმირი წარმოუშვია. ერთი ასეთი გმირია ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ეს ის ადამიანი იყო, რომელიც იწვოდა და იფერფლებოდა სამშობლოს სიყვარულის სამსხვერპლოზე... და უყვარდა ქართველ ხალხს თავისი გმირი, უყვარდა გულწრფელი, ცეცხლოვანი სიყვარულით. და ეს დიდი გრძნობა ჩვენმა ხალხმა თავის მრავალრიცხოვან სიმღერებში გამოხატა.

საქართველოში არ არის ისეთი კუთხე, სადაც არ შეექმნათ უცნობ მგოსნებს მშვენიერი სტრიქონები საქართველოსათვის დაუდგრომელ მებრძოლზე, რომელიც რუსი ჯალათებისათვის ნამდვილ რისხვას წარმოადგენდა. ამ სიმღერებში სჩანს ქართველი გლეხის დიდი პოეტური აღმაფრენა და ის მარადიული ბრძოლის ცეცხლი, რაც ჩაუქრობელად ღვივის და გიზგიზებს თვითეული ჭეშმარიტი ქართველის გულში.

ამ გვერდში მოთავსებული ხალხური ლექსები, შექმნილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, შეკრებილი და ჩაწერილია ელიზბარ მაყაშვილის მიერ.

ქაქუცა

ჰა, ყოჩაღ ჩოლოყაშვილო,
გულად გდებია ტანია,
პატარა რაზმის უფროსო,
მარდი ხარ, კამანდარია.
პურის ჭამაზე დაეცი,
თავზე დაჰხვიე ალია,
ფშავლებს გადაეც ნადავლი,
იმათგან ანაყარია;
ზენაისაკენ წამოხველ
მკვდარი რომ გადათვალია,
თან ორი პოლკი შემოგყვა,
ტყვიამფრქვევ-ზარბაზანია.
იქ დაგხვდებიან ხევსურნი,
ჩვენი სალი კლდის ძმანია,
არ შეშინდების სიკვდილის,
ყველა იქ მიმავალია,
ის კურთხეულად ჩათვლილა,
ვინც სამშობლოსთვის მკვდარია!

ფშავლის ნათქვამი

სახელ ვახსენებ ფშაველი,
ლაღის ლაშარის ჯვრისასა,
თუ კიდევ დამეხმარება,
შვილსა გაზდილსა მთისასა;
გაუდექ სალეკეთოდან
ბილიკებს დაოისტნისასა,
ქაქუცა ფლავსა მპირდება,
ელდისა სასუხისასა;
რომ მივალ, ამბავს მივართმევ
ურჯულო ლეკებისასა,
კიდევ ამოვალ ფშავშია,
გადმოვალ კუდებისასა,
თუ გადაურჩი ცოცხალი
ტყვიასა რუსებისასა.

რაზმი ჩოლოყაშვილისა

ალაზნის პირას ფშაველსა
ფიქრი დამაწვა მწარეო,
გამოველ უღრან ტყიდანა,
წყლის პირას გავიარეო.
დიდი ჰყოფილხარ შირაქო,
ვაკე და მოედანიო,
ნეტავიცა ჰქმნა არაგვი,
ფშავიდგან მიმდინარიო.
წვრილად მეკითხა ამბავი —
ფშავეთი როგორ არიო,
ქალები გუდარახისა,
გამოღმა ჩარგლის კარიო.
როგორ არიან ჩარგალთა
ჯიელ, ჯიელთა ჯარიო,
ქალები ტუგურელაანთ,
პირტკბილად მოუბარიო.
ან ეგ მღვდელაის თამარი
თეთრი და სახემკრთალიო,
მარიამს კუკა ხომ არ სწყევს
კივილ ხარ მოსდის ჩქარიო.

□

დავარდა საქართველოში
ამბავი გასვლა გმირისა,
რომელიც დღესაც იმარჯვებს
რაზმი ჩოლოყაშვილისა.
ხან აქ გასთელამს, ხან იქა,
მტერთა მომცემი ჭირისა!

შენი ჭირიმე ქაქუცავ

შენი ჭირიმე, ქაქუცავ,
ქართველ ლაშქართა ბელადო,
მტრის მოგერება გცოდნია,
გამუსვრა ხელდახელადო.
სოფელ აწუხენ ჯალათნი
აღარ ინდობენ ხალხსაო,
უძალლო სოფელ ჰხედავენ,
მიტომ იგდებენ თავსაო.
შენ გაჩნდი ჩვენსა საშველად,
კახეთს აგროვებ ჯარსაო,
ოღონდ გვიშველე ქაქუცავ,
მოგცემთ ქუდზედა კაცსაო.

სალამს მოგიძღვნი

სალამს მოგიძღვნი, ბელადო,
მოსვლის უმალვე წინათა,
ჩვენ შენი დავალებანი
აგვისრულებავ წმინდათა.
მთლად მოვიარე კახეთი,
დღეს საზიზღარი სამეფო,
რკინიგზის სადგურს დავეცით,
ხანი არ დავახანეთო...

[illegible]

ტანზე აბჯარი აისხი,
თავზარი დაეც მტერსაო,
ყინულის ნისლი დააწვა
ფშავ-ხევსურეთის მთებსაო,
წინაპართ დროშა აღმართე,
მტვერ სისხლში ამოვლებული,
შენ შეგხაროდა ქვეყანა,
დიდი ხნის დაობლებული!
იძლია მცირე ლაშქარი,
ხმალი ქარქაშში ჩააგე,
ახალ ბრძოლის ჟამს ელოდი,
თუმც კი პირველი წააგე.
შეფიცულები თან გახლდნენ
შემოგხვეოდენ გარსაო,
თანაბრად იზიარებდნენ,
თავის ბელადის ჯავრსაო.
დასტოვე შენი ქვეყანა,
სხვის მხარეს შემოეხიზნე,
ღვიძლი ბუნება გწყუროდა,
ვერ შეითვისე უცხო ზნე.
ჭრილობის განსაკურნევად,
ველარ იშოვე წამალი,
მოჰკვდი სამშობლოს წუხილით,
ვაჰ, რომ, გალაღდა მტარვალი.
გვიახლოვდება ბრძოლის დრო,
ჯერ არ სჩანს შენი ბადალი,
ნეტავი ვინღა იქნება
შემდეგში რაზმის სარდალი?
აფეთქდეს, ასტყდეს ზარცემა,
ლხენამ შესცვალოს დუმილი,
მტერთან ხელჩართულ ბრძოლებში,
აგვიხდეს შენი წადილი.
ვეცდებით მწყობრად დავრაზმდეთ,
დრო რო მოგვივა აღთქმული,
ყველა ველური მტრებისგან
დავიცვათ ჩვენი მამული.
რად გვინდა დიდხან სიცოცხლე,
ვიყოთ ამ ქვეყნად ფუჭადა,
სამშობლოს თავისუფლებას,
გულში ვავლევდეთ უქმადა.
ვაჟას სიზმარი ახდება,
მოვალის ზერი ლუხუმი,
ლაშარის გორზე გაჰკივლებს,
გაიმართება ალლუმი.
მცირე რამ გკადრე ბელადო,
გლოვა მაწუხებს დიდათა,
ოდესმე გადმოგასვენებთ,
ხალხი მიგიღებს წმინდათა.

იღვიძეთ...

იღვიძეთ, ქართვლის შვილებო,
კვლავ ჩვენზე რეგვნობს მტერია
შეჰხედეთ რუსთა ლაშქართა,
ირგვლივ რომ შემოგვსევია!
ხევსურნო, დიაცნ ხომ არ ვართ,
ფრანგულზე ვიცეთ ხელია,
ბარნო რას შვრებით, ბეჩავნო,
მტრის დამარცხება ძნელია?
უნიფხოს შვილნი გვჩაგვრიან,
სისხლით მოგვირწყეს ველია,
დიაცთ გვიხდიან ნამუსსა,
შხამით სავსე, ვითარც გველია.
რა უყოთ, ირაკლ აღარ გვყავს,
სხვა ხომ ა მისი ბადალი,
ქაქუცაც მისი სიყმეა,
იმისი ჩამომავალი.
ქაქუცა წინა გაგვიძღვის,
მტერს დავცეთ თავზე თავზარი,
ჩვენი შემწეა კოპალი,
ლაშარი თავის ლაშქარით.
რუსთა ვაჩვენოთ ქართველნი,
რომ არ ვართ მთალად მომკვდარნი,
ფშავნო, ხევსურნო ავისხათ
ირაკლის მეფის აბჯარნი.
თუშნო, გალესეთ მახვილი,
რუსი გყავთ კარზე მომდგარი,
რუსთა დიაცთა აჩვენეთ,
რომ არ ხართ ჯერეთ წამხდარნი.
შენ კი გაგვიძეხ, ბელადო,
თან მოგდევს ხევსურთ ლაშქარი,
ავაფრიალოთ ფრანგული,
მტერს დავცეთ თავზე თავზარი.

ხმაი გავარდა

ხმაი გავარდა კახეთში:
ქაქუც გასულა ველადა,
შეუკრებია ვაჟკაცნი
სამშობლოს დასახსნელადა.
რჩეულ-რჩეული ვაჟკაცნი
ჩამსხდარან იარაღშია,
რუსთ ჯარს არ აწაწანებენ
მთაში, ველში თუ ბარშია,
შეშინებული ჩეკაი,
ველარ გამოდის კარშია,
ქაქუცას ხელში ჩაცვივნას
სჯობს ჩავიკეტნოთ სახლშია.
რუბენი ჰკრეფავს ჯარებსა,
მაგრდება თიანეთშია,
კოტორაშვილი ეფრემა
ჩამჯდარა იარაღშია,
ქაქუც ხევსურეთს ყოფილა,
ხევსურთ აგროვებს მთაშია,
მთლად მთიულეთის ხევსურნი
ამოსდგომიან მხარშია.
მაგრად ხვდებიან რუსის ჯარს,
ძაბრი რომ ჰხურავთ თავზედა,
ვერას აკლებენ პოლკები
გამაგრებულებს მთაზედა.
პარტიულები სუყველა
იარაღს ისხმენ ტანზედა,
ოსებს მიუძღვის ეფრემა
შემჯდარი შავსა რაშზედა.
ბეჩავ ეფრემავ, არ იცი,
ბრმად რომ მისდიხარ გზაზედა.
თქვენ რას დააკლებთ ქაქუცას,
თუმც ასნი იყვნეთ ერთზედა,
ახვალთ და ყველას დაგიჭერთ,
კარაბინს აგყრით ტანზედა,
რომელი გზითაც წახველით,
წამოხვალთ იმავ გზაზედა.

ველად გაჭრილა...

ველად გაჭრილა ქაქუცა,
ჩოლოყაშვილის გვარისა,
გვერდში ჰყავს ბევრი ვაჟკაცი,
მტრის დამყენები თვალისა.
არ ეშინიანთ სიკვდილის,
თავი აქვთ გადადებული,
სურთ საქართველო დაიხსნან
რუსთაგან აოხრებული.
თანა ჰყავს მისი გაზდილი,
საშა სულხანიშვილია,
გვერდსა უმშვენებს სოსო,
ისიც ვაჟკაცი გმირია;
ელიზბარ ბევრგან ცნობილი,
ომშიაც გამოზდილია,
კოხტა, ლამაზი მიშაი,
გვარი აქვს ნაცვლიშვილია.
გიორგის, გაბოს, შალიკოს
გადმოულახავთ ქართლია,
ვაჟკაცობა და სიგმირე,
არც კი იმათა აკლია.
პატარა ტანის ლელოი
მარდია, როგორც ქარია,
ბადურაშვილი საშაი
ახალგაზრდების თვალია,
მალაქია და სერგოი,
ერთ დინჯი, მეორ ჩქარია,
კახეთს ჩასახლდნენ რაჭველნი,
არ არის დიდი ხანია.
ღვიძლი ძმა სიკო გვერდში ჰყავს,
დიდ გმირსაც შესადარია,
თოფის სროლაში სწრაფია,
ვით წვიმა ნიაღვარია.
მოლექსე ფშავიც ხომა ჰყავს
მუდამ პირმოცინარია,
შეუპოვარი შამილა,
მაგარი, ვით კლდე სალია,
ბათირაც მასთან წავიდა
და სხვებიც წაიტანია.
ერისთვის შვილი რაფიი
სიკვდილთან უშიშარია,
ბევრს მოღალატე, მურდალსა
მან დაუბრმავა თვალია;
და სხვა მრავალი ვაჟკაცი
მთლად საქართველოს გმირია,
სახლში არავინ დარჩება
ვინც კი მამულიშვილია.

გმირის ხსოვნას

არწივმა მხრები დაუშვა,
მძიმედ დახუჭა თვალია,
აღარ გვყავს ჩოლოყაშვილი,
ზეცით დარეკა ზარია.
მთებო იტირეთ ცრემლებით,
ბარო მოიკალ თავია,
მზეო დაბნელდი უდროოდ,
კახეთს ჩააცვი შავია.
იგლოვოს ყველა ქართველმა,
ძაძით შემოსოს ტანია,
ლხინი შესცვალოს ჭირადა,
არ არის გასახარია.
დავკარგეთ ჩვენი ბელადი,
სტირის და გლოვობს ერია,
ასეთ ვაჟკაცთა დალუპვა,
საქართველოსთვის ძნელია.
მამულიშვილო, შენსავით
დედას აღარ ჰყავს შვილია,
ძნელია შენი დაკარგვა,
ეს ჩვენთვის უფრო ძვირია.
უშენოთ, ვფიცავ ძმობასა,
ჩვენი სიცოცხლე მწარეა,
აქ გელის შენი სამშობლო
დალუპულ, განწირულია.
შენ კი უდროოდ უცხოეთს,
შავ მიწას მიებარია.
ჩვენ რაღა უყოთ დამრჩალთა,
ვილას მივანდოთ თავია,
ვინ გაგვიძღვება ბრძოლაში,
ვინღა გვიკვლიოს გზანია!
სამშობლო დალუპულია,
სჭირია ბასრი ხმალია,
იმედის მაღვიძებელი
არ გვესმის შენი ხმანია!
ვართ ასე დაღონებულნი
ვსტირივართ როგორც ქალია!
შენი ჭირიმე, ბელადო,
რომ მოგიღუნდა მკლავია,
აღარა გვყევხარ ნუგეშად,
დაგვშორდი, განვლე გზანია.
ბუნებავ! უკუღმართი ხარ
ღმერთო! შენც გადევს ბრალია,
რა დაგიშავეთ ცოდვილთა,
რომ გაგვიმწარე დღენია,
სახლს დაგვიჯინე ჯარები
არ მოგვეც გასაქანია,
წაგვართვი ჩვენი ქაქუცა,
სადა გაქვს სამართალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსულიდან

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აგვისტოს აჯანყება ვინმემ გადასწყვიტა, ან მისი თავიდან აცილება ვისმეს შეეძლო და არ ინდომა. აჯანყების წინ ერთი მეგობარი დავიბარე, რომელიც ჩვენს საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ რომლის აზრს დიდს ანგარიშს ვუწევდი და გავენდე. მე ვენდობოდი, როგორც მის ჭკუას, აგრეთვე მის პირუთვნელობას და მისი საშუალებით მსურდა გამეგო, როგორ მოეკიდებოდა აჯანყებას, საზოგადოებრივად დაქსაქსული და დაფანტული ქართული გულის ის სინიდისი, ურომლისოდ, როგორც მე თვითონაც კარგად მესმოდა, კაცი კაცს გამარჯვებას ვერ ეტყვის, არამც თუ აჯანყება მომიწონეო.

ადვილად გასაგები მოსაზრებით მე იმ კაცს არ ვასახელებ, მაგრამ ჩვენ შორის დაახლოვებით ასეთი ბაასი გაიბა:

— აჯანყება მოხდება! ვუთხარი მე.

— ეგ უგუნურება იქნება! მიპასუხა მან.

— ყოველივე აჯანყება აუცილებლობის გამო ხდება. უგუნურება არაფერ შუაშია.

— ეგ აუცილებლობა უფრო თქვენთვის არსებობს, ფარული ხალხისათვის, ვიდრე ქართველი ერისათვის.

— სცდები. აჯანყებაზე ქუჩაში უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე ფარულ წრეში. ქართველი ერი ჩვენზე, ფარულებზე, უფრო მრავალია, ჩვენ იმის წინააღმდეგ ვერას გავხდებით.

— ხალხი, რომელიც ქუჩაში ლაპარაკობს აჯანყებაზე, აჯანყებას ვერ მოაწყობს. თუ აჯანყება მოხდა, თქვენი, ფარულების და, მაშასადამე, უმცირესობის მოწყობილი იქნება და არა უმრავლესობის... ქართველი ერისა!

— მაშ რა ვქნათ? აჯანყება მაინც იქნება!

და როგორც ეხლა მაგონდება, აჯანყების ამ პირუთვნელმა მოწინააღმდეგე ადამიანმაც ვერ მითხრა - რა ეშველებოდა საქმეს. ჭეშმარიტად, რომ აჯანყება თავისით მოდიოდა, ის მოვიდა ხალხში გამეფებული სულისკვეთებისაგან, როგორც ორთქლი წყლიდან, წვიმა—ღრუბლიდან, ალი—ცეცხლიდან. ამ სულისკვეთებას ჩემი მეგობარი ჩემზე უკეთესად იცნობდა.

აჯანყება მართლა მოხდა. ის მოხდა ჩვენი ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისა და ყურძნის კურთხევის თვეში. ჩვენმა წინაპრებმა რომ კახასთავზე მონღოლების წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყეს—ესეც ზაფხულში იყო. საქართველოს ბუნება, მისი ხალხი, მისი ციხე-მონასტრები, ტყეში ასე უხვად გაბნეული და მისი წარსული, არასოდეს ასეთი დარდით არ განმიცდია, როგორც იმ დღეებში. შემდეგში, როდესაც გამარჯვებული მტერი აჯანყების მეთაურებს და მონაწილეებს ასამართლებდა, ბოლშევიკი-პროკურორი გესლიანობდა, აჯანყებულებს შტაბი შიო მღვიმის მონასტერში ჰქონდათო. იასონ ჯავახიშვილმა შესაფერი პასუხი გასცა. ბოლშევიკი-პროკურორი არამცთუ მართალი არ იყო, შემცდარიც არ იყო და ამ ბოლშევიკურ სიბრიყვეს განზრახ სჩადიოდა, რომ თავისი საქციელით, ვითომდა მონასტრიდან „მოწყობილ“ აჯანყებისათვის სახელი გაეტეხა.

აჯანყების კომიტეტი შიო მღვიმის მონასტერში არა მჯდარა და „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ მხოლოდ გზად იყო იქ. შიო მღვიმეში აჯანყების მეოთხე დღეს მივედით და იქიდან არაგვზე ვაპირებდით გადასვლას. მაგრამ ქ. ჩოლოყაშვილი ერთი დღით ადრე წავიდა დუშეთის ასაღებად და ჩვენ მხოლოდ მეორე დღეს უნდა გავსდგომოდით გზას. ჩემთვის ეხლა ცხადია, რუსის წითელარმიელებმა, რომლებმაც ჩვენი შიო მღვიმეში ყოფნა ძალიან კარგად იცოდნენ—მანამდე ვერ გაბედეს იქ მისვლა, ვიდრე ქ. ჩოლოყაშვილი წასული არ დაიგულეს და ჩვენი შეცდომა იქნება ის იყო, რომ ჩვენ ქ. ჩოლოყაშვილს დავსცილდით.

სწრაფად შეჯდება...

ხალხური

ქაქუცას ვერვინ ედრების,
სწრაფად შეჯდება ცხენზედა,
რაზმს შამაიკრებს, დაქროლამს
და დათარეშობს მტერზედა.
რაზმის უფროსი ელიზბარ
ნაქები ტყვიამფრქვევზედა,
ბრძანებას უცდის უფროსის,
ღიმილი მოსდის პირზედა,
შაბინდებისას მაღლობით
ნისლი ჩამოწვა სერზედა,
სულ დაიბურა მთა-ველი,
ბილიკიც არ სჩანს ხევზედა.
რვა შეფიცულით რუსებსა
დაეცი გომბრის ყელზედა,
შეინძრა მთელი მიდამო,
ყვირილითა და ხოკითა,
ექვსასი რუსის სალდათი
ცხენზე დაკრული თოკითა
გამოირეკე ბინისკენ
ორხევის გაღმა ველადა,
სიცილითა და თარეშით
ბელადს მოართვი ძღვენადა.

მაგრამ შიო მღვიმის მონასტრის გზაზე რომ მოვხვდით, აქაც ისტორიის უნებლიე გამეორებას ჰქონდა ადგილი, რაზედაც მაშინ, რა თქმა უნდა, არავის გვიფიქრია. დიდებული დავით აღმაშენებელი რომ თავის ერთერთ ლაშქრობაში მიდიოდა, შიო მღვიმეში მივიდა და თავისი ანდერძი იქ დასწერა, იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა, ლაშქრობიდან ცოცხალი აღარ დაბრუნდებოდა. საქართველოს ტახტის უკანასკნელმა მემკვიდრემ, დავით ბატონიშვილმა, თავის თოფი შიო მღვიმის ბერებს გადასცა და დასტოვა საქართველო. როდესაც ერი ისტორიულ ტრადიციებს მოჰკიდებს ხელს, შეუძლებელია უკვე ყოფილ ამბავს არ წააწყდეს. აგვისტოს აჯანყება ერთი ასეთი ქართული ტრადიციის გაცოცხლება იყო.

არ შემიძლია ერთ ამბავზე დავდუმდე, რომელიც მჭერმეტყველად ამტკიცებს, რომ ამ უაღრესად ქართულ დღეებში არა ქართული ფიქრის, მოვლენის და ემბლემის ქართულთან შეგუება ყოვლად წარმოუდგენელი იყო. როგორც ყოველი დიდი სულისკვეთება, იგი სრულიად მარტივ ამბავში გამოიხატა. იმ დღეებში ვიღაც თავმომწონე პატრიოტმა, რომელიღაც ბოლშევიკურ დაწესებულებაში ყოველსავე ბოლშევიკურს, შოთა რუსთაველის ბიუსტიც ზედ მიაყოლა და კედელს შეახეთქა. ამ გადაჭარბებულ აჯანყებულს რომ რუსთაველის ბიუსტი არასოდეს არ უნახავს და ჩვენი უდიდესი ეროვნული ბიუსტიც, უბრალოდ და მარტივად, ბოლშევიკურ ბელადის ბიუსტი ეგონა — ეჭვიც არ უნდა იყვეს. ჭკვიანს კაცს აზრად არასოდეს არ მოუვა, მაგრამ მარტივმა გულმა უცბათ იფიქრა, რომ რუსთაველი თუ ნამდვილი ქართველი იყო, ბოლშევიკურ ალმასკომში რა უნდოდა?! ეს „ვანდალიზმი“ ნაციონალიზმის უნებლიე გამოხატულება იყო.

ის საბრალო რომ ბოლშევიკებმა იმ დილასვე მიხვრიტეს, მტკიცებაც არ უნდა. მაგრამ მე ისიცა მგონია, რომ აღსასრულის წუთს, როგორც უკანასკნელი ამქვეყნიური ხილვა, შოთა რუსთაველი გამოეცხადა და უთხრა:

„—შაბაშ კაცი, შაბაშ სიტყვა, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი“!..

შ. ამირეჯიბი

აგვისტო, 1929 წ.

აგვისტოს აჯანყების დროშას ეწერა ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება — ეროვნული მონობის მძიმე უღლის გადაგდება. იგი იყო ჭეშმარიტი სახალხო აჯანყება, რადგან ბრძოლის ზარებს ერთსადაიმავე დროს შემოჰკრეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში; სისხლისმსმელი ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმული გამოვიდა ერთიანი ქართველი ხალხი: გლეხი, მუშა, მღვდელი, თავადი, ინტელიგენტი და თავდადებით დადგა ეროვნული დროშის ქვეშ.

არწივი

ქაქუცა ჩოლოყაშვილი სახელოვან ქართველ მამულიშვილთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომლებმაც გმირული სული ჩაჰბერეს ქართლის ცხოვრებას.

ქართველი ხალხის მომავალი საამაყო გმირი ქაქუცა დაიბადა 1888 წლის 14 ივლისს, იმ დღეს, როცა საფრანგეთის ხალხმა დაჰლეწა ბოროტების სავანე — საერთაშორისო სიმბოლო ადამიანის თავისუფლების შებოჭვისა — ბასტილია.

ქაქუცა მშობლებმა პირველ ქართულ გიმნაზიაში მიაბარეს. ის პირველადვე ისეთ წრეში მოხვდა, რომელმაც თავიდანვე ჩაუნერგა ბავშვს დაჩაგრული მამულის სიყვარული.

იგი ოცდაერთი წლისა გაიწვიეს უბრალო ჯარისკაცად და მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში, აქედან საქართველოში დაბრუნდა ოფიცრის წოდებით. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, 1914 წელს ქაქუცა ჯარში იმყოფება და გალიციის, კავკასიისა და მესოპოტამიის ფრონტზე სახელგანთქმულ მებრძოლთა რიგებში სდგას.

1917 წლის რუსეთის რევოლუციის დასაწყისში, ქართული ცხენოსანი პოლკი, რომელშიც მსახურობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ფრონტიდან სამშობლოში დაბრუნდა. ეს ის დრო იყო, როცა კავკასიის ფრონტიდან ტალღასავით მოწოლილი, გაბოლშევიკებული რუსის ჯარისკაცები ჩვენს დედაქალაქ თბილისს ემუქრებოდნენ, სწორედ მაშინ ქართულმა ცხენოსანმა პოლკმა დიდი სამსახური გაუწია ჩვენს სამშობლოს წესრიგის დაცვაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში ქაქუცა ჩოლოყაშვილი მონაწილეობს ყველა იმ ომსა და აჯანყებათა ჩაქრობაში, რომელსაც წითელი მოსკოვი უწყობდა საქართველოს ნორჩ სახელმწიფოს. როცა საქართველო დამარცხდა მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, ქაქუცა ოცნებობს პარტიზანული ომის იდეაზე საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ. ამის შემდეგ იგი თავის შეფიცულებთან და ერთგულ მამულიშვილებთან ერთად ტყეში გაიჭრა.

1922 წელს აჯანყების ალი მოედო ხევსურეთს, აქედან ცეცხლის ალი დუშეთში გადადის და თითქმის მთელ საქართველოს ედება. ამ ეროვნული ბრძოლის ცენტრში სდგას ქაქუცა ჩოლოყაშვილი. გმირული სულით გაჟღენთილ ქაქუცას ბრძოლის ცეცხლი კავკასიის მასშტაბში გადააქვს, ის გადალახავს კავკასიის უღელტეხილს და აბამს საბრძოლო კავშირს მთიელებთან.

მომავალში ალბათ ისტორიკოსი დაამშვენებს საქართველოს ისტორიის ფურცლებს, იმ დაუვიწყარი ფაქტით, როცა მანგლისის ტყეში, აგვისტოს აჯანყების წინადღეს, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე კ. ანდრონიკაშვილი მას საზეიმო ცერემონიით, ქართულ ტრადიციულ ლაშქრულად, დალოცვის წესით გადასცემს ქართულ ეროვნულ დროშას.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება, როგორც ვიცით, ცეცხლითა და მახვილით ჩააქრეს წითელი რუსეთის ჯარებმა, ამის შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის შეფიცულებთან ერთად გადადის თურქეთში.

1930 წელს 28 მაისს საფრანგეთში შესწყდა იმ ადამიანის მაჯისცემა, რომლის ოცნებას ყოველთვის შეადგენდა ქართველი ერის ეროვნული თავისუფლება და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. უცხო მიწამ მიიბარა მისი მგზნებარე სული.

ასეთია ის ბრძოლის გზა, რაც განვლო გმირმა ადამიანმა, რომელმაც მამულის აღდგენისათვის მებრძოლი შთაგონება ხალხის წიაღიდან წამოიღო.

ქართული მიწა ტრაგიკულ მომენტში მშობლიურ ერს ყოველთვის მოუვლენდა გმირს. ასეთია ქაქუცა ჩოლოყაშვილი. იგი ქართველი ხალხის საყვარელი გმირია, რადგან ქართველ ხალხში ტრიალებდა, იცოდა ერის სულისკვეთება, სათავეში ჩაუდგა მას და ბრძოლის ველზე წაიყვანა.

უხეშმა ბოროტმა ძალებმა შესძლეს ფრთები დაეჭრათ მთის ლაღი არწივისათვის, მაგრამ ვერ შესძლეს ჩაეკლათ მისი მებრძოლი სული, ეს ის სულია, რომელიც გვამხნევებს დღეს ჩვენ, ქართველ ლეგიონერებს.

ლეგ. ჰასან აჭარელი.



აჯანყების მონაწილენი (ზევიდან ქვევით): სოლიკო ზალდასტანიშვილი, ექიმი გ. ჭაჭიაშვილი (ორივე ამ ომში გერმანიის მხარეზე იბრძოდნენ, პირველი გარდაიცვალა, მეორე — ბოლშევიკებმა მოკლეს ყირიმში 1942 წ.), ბიქტორ ცენტერაძე, ალექსანდრე ჩიქავა (ორივე დახვრეტილები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანკის მხიარული ეკიპაჟი.

ლონდონი სცნობს

სიცილიაზე ბრძოლების დამთავრების გამო ლონდონის რადიომ განაცხადა შემდეგი: „გერმანელები კიდევ ძლიერნი არიან. ისინი გამაგრდნენ უძლიერეს კონტინენტალურ სიმაგრეში. სიცილიამ ერთხელ კიდევ დაგვანახა, თუ როგორ ძლიერ მოწინააღმდეგესთან გვაქვს საქმე. სიცილიის ბრძოლებმა გვაჩვენეს, თუ რა მოელით მოკავშირეებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი განიზრახავენ ფეხი გადადგან ჰიტლერული ევროპის კონტინენტზე“.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ინგლის-ამერიკელებმა დაიკავეს კუნძული, ინგლისის მთელი პრესა სწერს იმავე თავშეკავებული ტონით, რაც ალსავსეა მოწინააღმდეგის პატივისცემით.

ასევე არაოპტიმისტურია ინგლისის კომენტარია საბჭოების შეტევის შესახებ აღმოსავლეთის ფრონტზე. ცნობილი ინგლისელი სამხედრო კრიტიკოსი ლიდელ ჰორტი სწერს, რომ საბჭოთა შეტევებმა ვერ გაამართლეს ის იმედები, რაც მათზე იყო დამყარებული ჯერკიდევ ერთი კვირის წინათ, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მოწინააღმდეგეთა მხრიდან იმედოვნებდნენ, რომ გერმანიის სამხრეთი ფრონტი ძლეული იქნებოდა. ეხლა კი გვაქვს საფუძველი იმისა, რომ ვუცადოთ გერმანელების მხრივ საპასუხო დარტყმას.

ჰორტი აღნიშნავს, რომ სიცილიის ბრძოლებმა ვერ შესძლეს გერმანელთა ყურადღების შენელება აღმოსავლეთის ფრონტიდან.

სამხედრო ტყვეების საქმეთა გენერალური ინსპექტორი.

ადოლფ ჰიტლერმა შემოიღო ახალი თანამდებობა სამხედრო ტყვეების საქმეთა გენერალური ინსპექტორისა. გენერალური ინსპექტორი უშუალოდ ემორჩილება უმაღლეს სარდლობას.

□

ბირმელები იაპონიის სამხედრო აკადემიაში.

ბირმის დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით ტოკიოში მოხდა ოცდაათი ბირმელის საზეიმო მიღება სამხედრო აკადემიაში.

აკადემიის უფროსმა, გენერალ უშიამამ განაცხადა, რომ ამიერიდან იაპონია და ბირმა განუწყვეტლივ დაკავშირებული არიან ერთმანეთთან.

სენატორი უმბერტო რიჩის დანიშვნა.

სენატორი უმბერტო რიჩი დანიშნულია იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრად ფორნაჩიანის ნაცვლად, რომელიც გადადგა. ახალმა მინისტრმა მიჰმართა პრეფექტებს და მოუწოდა თანამშრომლობისაკენ. მან აგრეთვე რეკომენდაცია გაუკეთა მათ, რათა მკაცრად ადევნონ თვალყური გახრწნილ ელემენტებს.

რიჩი დაიბადა 1887 წელს. 1933 წლიდან იგი იყო სენატორი და ეჭირა შემდეგი თანამდებობანი: რომის პროვინციების კომისრისა და სამოქალაქო სამართველოს გენერალური დირექტორისა. 1935 წლიდან რიჩი გადამდგარი იყო.

წითელარმიელთა ულუფის შემცირება

ამასწინათ საბჭოთა სახალხო კომისარმა ვიშინსკიმ ინგლისელ და ამერიკელ ჟურნალისტებს მოსკოვში განუცხადა, რომ წითელარმიელების ულუფა შემცირებული იქნება. მოსკოვში ფიქრობდნენ, რომ ვიშინსკის ეს განცხადება ფართო გამოხმაურებას ჰპოვებდა ინგლისსა და ამერიკაში. ვიშინსკის განცხადება წარმოადგენს მოწოდებას ბრიტანეთისა და ამერიკის მთავრობებისადმი, რათა ამ უკანასკნელებმა გაადიდონ საბჭოთა კავშირის მომარაგება სურსათით. არავის ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ საბჭოების საზაფხულო შემოტევა მჭიდროდ დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის კატასტროფიულ სასურსათო მდგომარეობასთან.

ყველა ის პირი, რომელიც ამ ბოლოს დროს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირიდან, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ისედაც გაუარესებული სასურსათო მდგომარეობა საბჭოთა კავშირში ამ უკანასკნელად საგრძნობლად გაუარესებულია.

წითელარმიელების ულუფის შემცირება, რაც ოფიციალურად იყო განცხადებული ვიშინსკის მიერ, მეტად სახიფათოა არამც თუ მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მის მოკავშირე პლუტოკრატულ სახელმწიფოებისათვისაც.

მარშალი ბადოლიოს მიმართვა.

მარშალმა ბადოლიომ რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა და მოწოდებით მიჰმართა სიცილიელთ. თავის სიტყვაში მან ხაზგასმით აღნიშნა განუყრელი კავშირი სიცილიისა იტალიასთან და მოუწოდა სიცილიის ხალხს იყოს შეუპოვარი, ძლიერი.

□

იაპონიისა და ტაის ხელშეკრულება.

20 აგვისტოს ბანგკოკში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება იაპონიისა და ტაის (სიამი) შორის, რომლის თანახმად ტაის უბრუნდება ჩრდილოეთით და სამხრეთით ის ოლქები, რომელიც წაართვა თავის დროზე ტაის ახალგაზრდა სახელმწიფოს ინგლისმა. საკითხი ეხება კადახის, პერლის, ტრინგანუს, კენტუნისა და ხონგპანის პროვინციებს. ხელშეკრულების დადებიდან 60 დღის შემდეგ, იაპონიის მართველობა ამ პროვინციებში შეცვლილი იქნება სიამის მიერ.

ხელშეკრულება დადებულ იქნა საზეიმო ვითარებაში.

ტაის მინისტრ-პრეზიდენტმა სონგრამმა მადლობა გამოსთქვა იაპონიის მთავრობის მიმართ, რომელმაც დაახასიათა ხელშეკრულება, როგორც სახელოვანი სტრიქონები იაპონიასა და ტაის შორის ურთიერთობისა. ხელშეკრულების დადების დღე გამოცხადებული იყო ნაციონალურ დღესასწაულად.

□

მოქალაქეთა გაცვლა.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა სემნერ უელსმა განაცხადა, რომ ამერიკასა და იაპონიას შორის მიღწეულია შეთანხმება ამერიკელ და იაპონელ მოქალაქეთა გაცვლის თაობაზე. გაცვლა იწარმოებს მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში წყნარი ოკეანის სამიმოსვლო გზებზე. 1.500 ამერიკელსა და იაპონელთა ამავე რაოდენობას შესაძლებლობა ეძლევა დაუბრუნდეს თავის ოჯახს.

ლიტვინოვის შეცვლა.

ოფიციალური საბჭოთა ცნობების მიხედვით ლონდონიდან საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლის მაისკის გაწვევის შემდეგ, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ვაშინგტონში სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანამდებობიდან გაანთავისუფლა აგრეთვე ლიტვინოვ-ფინკელშტაინი. მის ნაცვლად დანიშნულია ვინმე გრომიკო.

□

თათბირი ვაშინგტონში.

რუზველტმა მოიწვია სამხედრო მრჩეველთა თათბირი. მას დაესწრნენ: გენერალური შტაბის უფროსი, მარშალი, ფლოტის სარდალი ადმირალი კინგი და ამერიკის საჰაერო ძალების უფროსი, გენერალი არნოლდი. ერთდაიმავე დროს რუზველტს თათბირი ჰქონდა სახელმწიფო მდივან ჰელთან, სამნერ უელსთან და ამერიკის „წითელი ჯვრის“ თავმჯდომარესთან. როგორც ამბობენ, სამნერ უელსი რუზველტის მიერ დანიშნული იქნება მეტად მნიშვნელოვანი დავალების ამსრულებლად ამერიკის გარეთ.

□

ტოკიოს დაცვა.

ტოკიოს ქალაქის თავმა ოდატემ მიიღო პრესის წარმომადგენლები და განუცხადა მათ, რომ ტოკიოს შეერთება მის მახლობელ უბნებთან გათვალისწინებული იყო წინათაც, ჩვენს დროში კი ეს ღონისძიება შეეფარდება სამხედრო ამოცანებს. შეეხორა იაპონიის სატახტო ქალაქის საჰაერო თავდაცვას, ოდატემ მიუთითა, რომ საჰაერო თავდასხმისას მთავარ როლს ითამაშებს მოსახლეობის ჯანსაღი განწყობილება. იაპონელთა მორალური ძალა საგრძნობლად დიდია, ამის დამამტკიცებელია 1923 წლის საშინელი მიწისძვრა. ამჟამად მიღებულია ყოველგვარი ზომები ტოკიოს დასაცავად საჰაერო თავდასხმისაგან.

მდგომარეობა ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

აღმოსავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე ბრძოლა კვლავ შეუნელებელი სიმძაფრით გრძელდება. ბოლშევიკები განუწყვეტლივ გადმოდიან შეტევაზე, აბამენ რა ბრძოლაში ახალ-ახალ რეზერვებს. მტერი ცდილობს მონახოს გერმანელთა ფრონტის „სუსტი ადგილი“ და ამ მიზნით ხშირად სცვლის თავისი დარტყმის მიმართულებას. ბოლშევიკები ყველგან განიცდიან გამანადგურებელ ზარალს, გერმანელები მოგერიებითი ბრძოლიდან გადადიან აქტიურ კონტრიერიშზე და იჭერენ აუცილებელ სივრცეებს მორიგი წარმატებისათვის.

წითელი არმიის დანაკარგი ისე, როგორც წინათ, ეხლაც კოლოსალურია. ის ნათლად გვიჩვენებს 1943 წლის კამპანიის შედეგს, რომლის ნაყოფია წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობის გადაჭრით დაცემა, შესუსტება.

ლადოგის ტბასთან გერმანელებმა შესძლეს უკუეგდოთ ბოლშევიკების მეოთხე შემოტევა, რომელიც დაიწყო დიდი საბჭოთა შეტევის (22 ივლისი — აგვისტო) ლიკვიდაციის შემდეგ. 12 აგვისტოს ბოლშევიკები შეეცადნენ გაერღვიათ გერმანელთა ფრონტი 6 კილომეტრის მანძილზე. შეტევა მიმართული იყო რკინიგზის კვანძ მგი-საკენ, შლისელბურგის სამხრეთით. მტერი იმედოვნებდა — შესძლებდა შეჭრილიყო გერმანელთა ფრონტის ჩრდილო ფრთაში. მიუხედავად იერიშზე გადმოსული ძალების მასობრიობისა, რომლებიც თავმოყრილნი იყვნენ და მოქმედებდნენ ვიწრო სივრცეზე, ბოლშევიკებმა პირველსავე შეხვედრითს ბრძოლებში განიცადეს ისეთი დიდი ზარალი, რომ იძულებული გახდნენ შეესუსტებინათ თავიანთი ძლიერი დაწოლა. გერმანიის ფრონტის ხაზი ლადოგის ტბასთან მეოთხე საბჭოთა შემოტევის შემდეგაც ურყევადაა შენარჩუნებული.

ფრონტის შუა უბნებზე, პირველყოვლისა ვიაზმასთან, ადგილი აქვს ბრძოლის შესუსტებას, რაც აიხსნება იმ დიდი დანაკარგით, რომელიც ბოლშევიკებმა აქ განიცადეს როგორც ცოცხალი ძალის, ისე სამხედრო საჭურვლის მხრივ. ბელგოროდის სამხრეთ-დასავლეთით დიდი ბრძოლა გრძელდება, გერმანელები წარმატებით იცავენ პოზიციებს. აქ ბოლშევიკებმა განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადეს, გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობაში ლაპარაკია მინდვრებზე, რომლებიც მოფარული არიან ბოლშევიკთა გვამებით. მოკლული წითელარმიელების რაოდენობა 20-ჯერ აღემატება ტყვედ ჩავარდნილთა რაოდენობას.

გერმანიის ჯარის ყველა სახის იარაღები, მოტორიზებული და სატანკო დივიზიები, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ იმისათვის, რათა გაენადგურებინათ შემოჭრილი საბჭოთა ჯარები, დღითიდღე აძლიერებენ თავიანთ გამანადგურებელ მოქმედებას. მასობრივი საჰაერო შენაერთების დახმარებით მათ სავსებით მოსპეს მსხვილი საბჭოთა ძალები. განსაკუთრებით ძლიერი იყო საჰაერო თავდასხმა საბჭოთა ჯარის მოტორიზებულ რეზერვებზე, რომელთაც დახმარება უნდა გაეწიათ შემოჭრილ საბჭოთა ჯარისათვის. რეზერვი თითქმის მთლიანად იქნა განადგურებული, გადარჩენილები უკუიქცნენ და უბრძოლველად დასტოვეს მნიშვნელოვანი სივრცეები. როგორც ეს აღნიშნული იყო უმაღლესი სარდლობის ცნობაში, ბრძოლა მიმდინარეობდა ხარკოვის ჩრდილოეთით, სამხრეთით და ნაწილობრივ ჩრდილო-აღმოსავლეთით.

გერმანელებმა შესძლეს უკუეგდოთ ძლიერი დარტყმა ხარკოვთან და მოხერხებული ტაქტიკით შეეჩერებინათ დაწოლა, ამავე დროს საფლანგო შეტევებით ალყა შემოერტყათ მტრის მსხვილი შენაერთებისათვის. ბელგოროდსა და ხარკოვს შორის მდებარე უბანმა დიდი სატანკო ბრძოლების შედეგად მიიღო მკვეთრი კლაკნილი სახე, ბოლშევიკების მოწინავე ნაწილები ზოგ ადგილას იმყოფებიან გერმანელთაგან დასავლეთით, სამაგიეროდ გერმანელთა ჯარები განლაგებული არიან მტრის ჯარების ზურგში კარგა დიდ მანძილზე.

მასობრივი დაწოლისა და გარღვევის საფრთხე ამგვარად შეიცვალა ბელგოროდთან ბრძოლით, რომელიც ეხლაც გრძელდება. გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობებში არაერთხელ აღნიშნულა გერმანელთა აქტიური მოქმედების შესახებ. 21 აგვისტოს ცნობაში ნათქვამია, რომ „სს-ის ჯარების მსუბუქი შენაერთები ღრმად შეიჭრნენ საბჭოთა ზურგში“. მიუსთან და დონზე მძიმე ბრძოლა გრძელდება. იქ, სადაც ბოლშევიკებმა ძლიერი შეტევების შედეგად შესძლეს ოდნავ შემოჭრილიყვნენ, გერმანელებმა გააჩაღეს გამანადგურებელი ცეცხლი და არ მისცეს მტერს საშუალება გაეშალა თავისი ოპერაციები. ამ უბანზე განსაკუთრებით ინტენსიურად მოქმედებდა ავიაცია და არტილერია ორსავე მხარეზე.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის 23 აგვისტოს ცნობაში აღნიშნულია დიდი ბრძოლები ხარკოვის რაიონში. ხარკოვი, რომელიც აღმოსავლეთის კამპანიის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა და ამჟამად წარმოადგენს მხოლოდ ნანგრევების გროვას, დატოვებულია გერმანელთა მიერ გეგმაშეწონილი უკუსვლითი მანევრის შედეგად.

ამავე ცნობაში დამატებითაა აღნიშნული, რომ დღისით, 17 აგვისტოს გერმანიის სამხრეთით მდებარე ორ ქალაქს თავს დაესხნენ ამერიკელთა ბომბდამშენები. საჰაერო ბრძოლისას ჩამოგდებულია მტრის არა 56 ბომბდამშენი, როგორც ეს ნაჩვენები იყო წინა ცნობაში პირველი შედეგების მიხედვით, არამედ 101 ოთხმოტორიანი ბომბდამშენი.

მიმომხილველი

ნარევი

ყველაზე ძველი საათი.

ყველაზე ძველ საათს წარმოადგენს ცის თალი. ციფრებისა და ისრების როლს მასში ასრულებენ მზე, მთვარე და ვარსკვლავები. ძველად კაცობრიობა სარგებლობდა სწორეთ ასეთი ბუნებრივი საათით. ცის საათს მომართვა არ სჭირდება, იგი თვითონ მუშაობს...

ცივილიზაცია, დროის ზუსტი გაზომვის გარეშე, არარაობა იქნებოდა. საინტერესოა დავუკვირდეთ, რა მუშაობას აწარმოებს ყოველდღიურად ჩვენი საათი.

24 საათი, როგორც ცნობილია, შეიცავს 86.400 წამს. ვინაიდან საათის მექანიზმის პატარა ბორბლები აკეთებენ ხუთ მოძრაობას წამში, ეს ნიშნავს, რომ დღეღამის განმავლობაში ზუსტი საათი 432.000 მოძრაობას აკეთებს. თუ საათის პატარა ბორბლების მოძრაობას ერთი მიმართულებით წარმოვიდგენთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ჯიბის საათის ქანქარის სიგრძე უდრის 84,75 მილიმეტრს. ვინაიდან ქანქარა წამში ხუთ მოძრაობას აკეთებს, ერთ წამში იგი გაივლის 723,75 მილიმეტრ გზას. ერთი წლის განმავლობაში გაივლის 13.359 კილომეტრს, სხვანაირად რომ ვთქვათ, გზას, რომელიც მეტია დედამიწის დიამეტრზე და წარმოადგენს ეკვატორის სიგრძის ერთ მესამედზე მეტს. 25 წლის განმავლობაში საათის ქანქარა მთვარეს მიაღწევდა.

◆

მსოფლიოს ენათა რაოდენობა.

ახალგაზრდა შვედმა სტუდენტმა ქალმა თავისი სადოქტორო შრომა მიუძღვნა იმ საკითხის ამოხსნას, თუ რამდენი ენა არსებობს მსოფლიოში. ამასთან იგი მხედველობაში ღებულობდა მხოლოდ ენებს, და არა კილოებს. ახალგაზრდა მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსოფლიოს მოსახლეობა ლაპარაკობს 3.000 სხვადასხვა ენაზე. ევროპაში მან აღრიცხა 53 ენა. ყველაზე მეტად გავრცელებული წიგნი — ბიბლია თარგმნილია 1.000 ენაზე.



გერმანელთა წყალქვეშა ნავი ატლანტიის ოკეანეში.

საინტერესო თემაზე

განწყობილების საიდუმლოება

ხშირად შეიძლება ვიხილოთ ასეთი სურათი: მაგიდას გარს უზის მხიარული კამპანია. ყველა კარგ განწყობილებაზეა. ისმის სახუმარო გამოთქმები, რაც საბაბს იძლევა გულიანი სიცილისა. მაგრამ კამპანიის ერთი წევრთაგანი მონაწილეობას არ ღებულობს საერთო მხიარულებაში. იგი ზის სერიოზული, მოღუშული სახით. სხვები სცდილობენ თავი დაიჭირონ ისე, თითქოს ვერ ამჩნევენ მას, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ცუდი განწყობილების მქონე ადამიანი თანდათან გავლენას ახდენს სხვების კარგ განწყობილებაზე.

ფსიქოლოგიურმა დაკვირვებებმა გვიჩვენეს, რომ ასეთ გულჩათხრობილ ადამიანს შეუძლია ყველაზე მხიარული საზოგადოების განწყობილება მოწამლოს. მელანქოლია გადამდებია. იყო საწინაამდეგო ცდებიც ჩატარებული, მაგრამ უშედეგოდ. ცუდი განწყობილება უფრო ძლიერ მოქმედებს, ვიდრე კარგი. ერთ მხიარულ ადამიანს არ ძალუძს დასძლიოს ათი მელანქოლიკის მოღუშვა. მაშ რაში მდგომარეობს კარგი განწყობილების საიდუმლო ელექსირი?

ექიმები ფიქრობენ, რომ ადამიანი თავს გრძნობს დღისით იმის შესაბამისად, თუ როგორ ეძინა ღამით. ის, ვინც წვება დასაძინებლად ავსებული კუჭით, მოუსვენარ სიზმრებს ხედავს და „მარცხენა ფეხზე დგება“. მას მადა არა აქვს, გამოიყურება ცუდად და ადვილად ღიზიანდება. ცხადია, არსებობს მუდმივი ორგანული ნაკლი, რომელიც განწყობილებაზე მოქმედებს. ტვინის ჯირკვლის გორმონები უდიდეს გავლენას ახდენენ განწყობილებაზე. თირკმელები, რომელთაც საიდუმლო კავშირი აქვთ უბათალებულ „სიმპათიურ ნერვთან“, ახდენენ ასევე განსაკუთრებულ გავლენას სულიერ განწყობილებაზე. განწყობილება უმთავრესად დამოკიდებულია ჯირკვლებისა და გორმონების მოქმედებაზე.

მაგრამ შეიძლება გქონდეს იდეალური თირკმელები, კარგი ღვიძლი, შეუფერხებლად მოქმედი ჯირკვლები და მაინც ცუდი განწყობილება გახასიათებდეს. ასე, მაგალითად, პედანტებს ყოველთვის ცუდი განწყობილება აქვთ. დაუკმაყოფილებელ ცუდმედიდობას, წარმატების უქონლობას საკუთარ პროფესიულ მოღვაწეობაში, უსიამოვნო მოგონებებს შეუძლიათ აგრეთვე მზიანი დღე „შავ დღედ“ გადააქციონ. ამრიგად, კარგი განწყობილება მთლიანად არ არის დამოკიდებული შინაგანი ორგანოების შეუფერხებელ მუშაობაზე. ძნელი არ არის იყო კარგ განწყობილებაზე, როდესაც ჩვენი ცხოვრების გზას არ ეღობება შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობანი. ბევრად უფრო ძნელია გქონდეს კარგი სულიერი განწყობილება, მიუხედავად განცდილი სიძნელეებისა. სწორეთ ამით ჩვენ ვუახლოვდებით განწყობილების ელექსირის საკითხს. ამ ელექსირს ეწოდება: იყო საკუთარი განწყობილების ბატონ-პატრონი და ერიდო მოღუშულ პიროვნებებს.

გერმანული ჰუმორი

საწყალი კაცი.

დედა რამდენიმე საათით გავიდა გარეთ. პატარა ჰანსი ოთახში დარჩა და შეუდგა მათემატიკური ამოცანის გამოყვანას.

როცა დედა შინ დაბრუნდა, ჰანსი ოთახში აღარ დახვდა. მან იფიქრა, ალბათ ბაღში წავიდაო. მაგრამ როცა ოთახი კარგად დაათვალიერა, ნახა გატეხილი ყულაბა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჰანსი დაბრუნდა შინ. მან იგრძნო, რომ ოთახში ცუდი ამბები მოელოდა, მივარდა თავის გაკვეთილს და ამოცანის გამოყვანა განაგრძო.

ვახშამზე დედა შეეკითხა:

„სად იყავი დღეს სადილშემდეგ?“

„ჩემს სკოლის ამხანაგთან ერთად ქუჩაში ვთამაშობდი“.

„ახ, შე საძაგელო, —გაიფიქრა დედამ, —რისთვის-ღა გინდოდა ფული, ყულაბიდან რომ ამოიღე?“

„დედიკო, ნუ გამიჯავრდები, ის ფული ერთ მოხუც, საწყალ კაცს მივეცი ქუჩაში.

„ვაჟკაცურად მოქცეულხარ, ძლიერ მოხარული ვარ, რომ ჩემი ჰანსი ასეთი შემბრალებელი ყოფილა“.

მაგრამ, როცა დედამ საღამოზე ჰანსის ხალათს თეთრი ლაქები შეამჩნია, მას ხელმეორედ შეეკითხა:

„მითხარი, ჰანს, სიმართლე, მართლა საწყალ კაცს მიეცი ფული?“

„დიახ, დედიკო, სრულ სიმართლეს გეუბნები, არ ვცრუობ. ქვევით, ქუჩაზე იდგა იგი და ნაყინს ჰყიდდა!“

გასართობი

სვლა ცხენისაა. №2.

(ამოხსნა)

„კაცი ჯაბანი რითა სჯობს,
დიაცსა ქსლისა მბეჭველსა,
სჯობს სახელისა მოხვეჭა,
ყოველსა მოსახვეჭელსა.“

შეადგინეთ სიტყვები. №3.

1. ორჩხომელი, 2. მერჩული, 3. შტეტინი, 4. შეხერაზადა, 5. კრონოსი, 6. არმაზი, 7. მცხეთა, 8. ჯაზაირი, 9. ზამბულაკი, 10. ნისლმფრქვევი, 11. შოპენჰაუერი, 12. ბონდი, 13. სერენადა, 14. ბოკვერი, 15. ფატმანი, 16. ფაზისი, 17. სიცილია, 18. მერქანი, 19. დამრეცი, 20. გოია.

სიცილია

როგორც გერმანიის უმაღლესი სარდლობა იუწყებოდა, 17 აგვისტოს დამთავრდა ბრძოლა სიცილიაში, ის ბრძოლა, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ თავისებურ სამხედრო ოპერაციას, რასაც ბადალი არ ჰყოლია ომების ისტორიაში.

როცა 10 ივლისს ინგლის-ამერიკელებმა სიცილიაზე გადასხეს დესანტი 2.000 გემიდან (როგორც თვითონ ამბობენ), დესანტს იცავდა 8 სახაზო გემი და ოთხი ავიამზიდი; სამი არმიისაგან შემდგარი დესანტის გადასხმას იცავდა ინგლის-ამერიკის ხმელთაშუა ზღვის საზღვაო ავიაცია; მაშინ ლონდონისა და ვაშინგტონის პრესა სწერდა ამ ოპერაციის, როგორც „ჰიტლერის წინააღმდეგ გადამწყვეტი დარტყმის“ შესახებ. ამით უნდოდათ საქმე ისე მოეჩვენებინათ, თითქოს ცოტა მანძილი ყოფილიყოს დარჩენილი ბერლინისაკენ პირდაპირ გასალაშქრებლად. სიცილიის ბრძოლები არასოდეს ყოფილა გადაჭარბებით შეფასებული გერმანიაში. გავლენიან გერმანულ სამხედრო წრეებში მოწინააღმდეგის მსხვილი ძალების გადმოსხმა, რასაც ისინი დიდი ხმაურით უკეთებდნენ რეკლამას, შეფასებულია, როგორც მეორეხარისხოვანი ასპარეზი ომისა ევროპის ავანპოსტზე. იმ მომენტში, როცა ინგლის-ამერიკელების სამი არმია, ე. ი. მოწინააღმდეგის მთავარი ძალები, გადმოსხმულ იქნა სიცილიაზე, გერმანიის ჯარების ამოცანა ნათლად იყო გარკვეული, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: 1) მტრის ძალებისადმი რაც შეიძლება მეტი შეუპოვარი წინააღმდეგობის გაწევა, რათა შეეფერხებინათ მტრის აგრესიული მიზნების სწრაფი განხორციელება; 2) მოწინააღმდეგისადმი რაც შეიძლება დიდი ზარალის მიყენება; 3) იმ დროის განმავლობაში, სანამ მტრის გემები დაკავშირებული არიან სიცილიასთან, რაც შეიძლება მეტი ზიანის მიყენება მათი ფლოტისათვის.

ეხლა ყველასათვის ცხადი გახდა, რასაც თვით მოწინაამდეგენიც არ უარყოფენ, რომ გერმანიის ჯარების მიერ ზემოთდასახელებული სამმაგი ამოცანა უმაგალითოდ იქნა შესრულებული სიცილიაზე.

კუნძულზე ბრძოლა გრძელდებოდა ხუთი კვირის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე ინგლის-ამერიკელებმა ერთხელაც ვერ შესძლეს გაერღვიათ გერმანელთა ფრონტი. მთელი ამ ხუთი კვირის განმავლობაში გერმანიის სარდლობას თავისი მცირერიცხოვანი ძალები გადაჰყავდა უკან, სანამ კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში არ იქნა დაკავებული პოზიციები, რომელიც გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობაში იხსენიებოდა „ხიდისთავის სიმაგრედ“. სწორეთ ამ სახელწოდებიდან შეიძლებოდა დასკვნის გამოტანა, რომ გერმანიის სარდლობის გეგმაში არ შედიოდა მთელი კუნძულის დაცვა. ამ ხუთი კვირის განმავლობაში ინგლის-ამერიკელებს მიჰქონდათ უშედეგო იერიშები გერმანიის მცირერიცხოვანი ჯარის წინააღმდეგ, რომელთაც ამერიკის სამხედრო კორესპონდენტმა ულიარჯმა უწოდა „ნამდვილი გმირები“. აგრეთვე ამ ხნის განმავლობაში გერმანელები ყოველდღიურად თავს ესხმოდნენ მტრის ხომალდებს და აყენებდნენ საგრძნობ ზარალს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სავაჭრო ფლოტის მილიონნახევარი ტონისა და მრავალრიცხოვანი სამხედრო ხომალდების დაკარგვამ საგრძნობლად იმოქმედა ინგლის-ამერიკელების „საწყლო-სახმელეთო“ მეთოდით ომის წარმოებაზე.

ამ კვირების შემდეგ გერმანელებმა შესძლეს უკანასკნელ ჯარისკაცამდე და მთელი სამხედრო საჭურვლით მესინის არხის სანაპირო საზენიტო ქვემეხების დახმარებით გადასულიყვნენ იტალიის კონტინენტზე. ამით ერთხელ კიდევ ჩაიშალა ინგლის-ამერიკელების გეგმა კუნძულ სიცილიაზე თავმოყრილი ღერძის სახელმწიფოების სამხედრო ძალების განადგურებისა. თუ გერმანიის ჯარების სამხედრო მოქმიოებანი დღიდან მტრის ძალების კუნძულზე გადმოსხმისა იწვევდა სამხედრო საქმეების მცოდნე პირთა პატივისცემას, კალაბრიაზე ძალების გადაყვანის ამჟამად წარმოებული მძიმე ოპერაციების აბსოლუტური წარმატება სამხედრო თვალსაზრისით იწვევს დამსახურებულ გაოცებას. მოვიგონოთ თუგინდ ის ამბავი, როცა ინგლისელებმა სატრანსპორტო ხომალდების მძიმე დანაკლისის შედეგად შესძლეს საფრანგეთში თავიანთი განადგურებული „კონტინენტალური არმიის“ ნაწილების გადაყვანა დიუნკირხენიდან, ტრაბახით თავი მოაბეზრეს მთელს ქვეყნიერებას, იმ დროს ჩერჩილმა ქვედა პალატაში განაცხადა შემდეგი: მართალია დავკარგეთ თითქმის მთელი სამხედრო მასალა და განვიცადეთ დიდი დანაკლისი ცოცხალი ძალის მხრივ, მიუხედავად ამისა შევსძელით ჩვენი არმიის დიდი ნაწილის გადარჩენა, ეს ეთანაბრება გამარჯვებასო. ბრიტანეთის ის ჯარისკაცები, რომლებმაც შესძლეს მეთევზეთა ნავებითა და ნახევრადჩაძირული სატრანსპორტო ხომალდებით თავისდაღწევა და რომლებიც სავსებით დემორალიზებული იქნენ გერმანიის მოპიკირე ბომბდამშენების მიერ, იმდენად ბრძოლისუნარმოკლებულნი აღმოჩნდნენ, რომ დიდი ხნის განმავლობაში აღარ გამოუყენებიათ სამხედრო ოპერაციებისათვის.

ვაჯამებთ რა სიცილიის ბრძოლების შედეგებს, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. ხუთი კვირის განმავლობაში სიცილიის კუნძულზე წარმოებულმა ბრძოლებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს გერმანიის სარდლობისა და გერმანიის ჯარების სამხედრო ხელოვნების ბრწყინვალება. ამ ბრძოლაში ინგლის-ამერიკელებმა გამოამჟღავნეს თავიანთი უუნარობა, როგორც ტექნიკის, ისე ბრძოლის დარგში, რადგან, მიუხედავად მათი ძალების სიჭარბისა, ვერსად ვერ შესძლეს მიეღწიათ გადამწყვეტი გამარჯვებისათვის, უთმობდნენ რა ყოველ წუთს მოწინააღმდეგეს ბრძოლის ინიციატივას.

2. მტრის დანაკარგი სამხედრო ხომალდებისა, ცოცხალი ძალისა და საჭურვლის მხრივ იმდენად დიდია, რომელსაც ვერ აანაზღაურებს მიღწეული წარმატება — კუნძულის აღება.

3. ბოლშევიკების მოთხოვნა „მეორე ფრონტის“ შექმნის შესახებ სიცილიაში წარმოებული ბრძოლებით არ იქნა დაკმაყოფილებული. მოსკოვური ჟურნალი „ომი და მუშათა კლასი“, რომელიც გამოდის კომინტერნის ცრუდახურვის შემდეგ ნაცვლად ჟურნალი „კომინტერნისა“, თავის 6 აგვისტოს ნომერში სწერდა იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ჩაითვალოს „მეორე ფრონტად“ ადგილი, სადაც ინგლის-ამერიკელებს შემთხვევა ჰქონდათ შებმოდნენ რაღაც 2 გერმანულ და რამდენიმე იტალიურ დივიზიას.

4. სიცილიაზე წარმოებული ბრძოლა ღერძის სახელმწიფოებისათვის არ ხასიათდება სამხედრო მასალათა და ადამიანთა დანაკლისით.

ამგვარად, სიცილიაზე წარმოებულმა ხუთკვირიანმა ბრძოლამ არ გაამართლა ის იმედები, რასაც ამყარებდნენ ინგლის-ამერიკელები. პირიქით, ამ ბრძოლით შესრულებულ იქნა ყველა ის ტაქტიკური ამოცანა, რაც დაკავშირებულია ევროპის დაცვის საქმესთან.

მთავარი რედაქტორი
ახმეტ. ბაი მადაურიძე
რედაქციის მისამართი:
Berlin W 8, Behren-Strasse 65/III

ქართული სტამბა, ბერლინი.